გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№47 (942) 9 - 11 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რა პრობლემებით ხვდებიან ომის მონაწილეები 9 მაისს

ექსკლუზიური ინტერვიუ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან

დავით დარახველიძე: 2-3 წელი ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. წინა მთავრობებმა, ჯამში, 24 000 დევნილი ოჯახი დააკმაყოფილეს, ახალი საცხოვრებლები არ აშენებულა, მათ სასტუმროები გადასცეს, ჩვენ კი ერთ წელიწადში 2 000 საცხოვრებელი ავაშენეთ. დარჩენილია 35 000 ოჯახი, განსახლების პროგრამა ჩვენი ხელისუფლების პერიოდში დასრულდება.

გვ. 3

ვალერი გელაშვილს პროკურატურამ სახელმწიფო დაცვა გამოუყო

ჩემი თავი ჯერ იმქვეყნად წასასვლელად არ მემეცება. თავს მოსაღოდნელი თავდასხმისგან ვიცავ. ახლა ვიცი, მომავალი ორშაბათიდან, სამი თვე, დაცვა მეყოლება და მერე ვნახოთ, თუ საქმე დაიხურა და სააკაშვილს კამერაში ჩასვამენ, დაცვას მომიხსნიან

გვ. 5

რა კავშირი აქვს ნაციონალურ მოძრაობას, „რუსთავი 2“-სა და NDI-ს

გვ. 5

კონსტანტინე გამსახურდიას სკანდალური პროგნოზები

„შესაძლოა ნავთობსადენის ნანილი ე.წ. სახელმწიფო საზღვრის მეორე მხარეს აღმოჩნდეს“

გვ. 6

ლევან ბერძენიშვილი

„როგორც კი ამას ვიტყვი, იტყვიან, ნაციონალების კაციაო“

გვ. 4

„გამორიცხული არ არის, ნაციონალებს სამი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერზეც ჰქონდეთ ფარული ჩანაწერები“

რა ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდის ნიკოლოზ მჟავანაძე

გვ. 7

„ნატო აფასებს საქართველოს საგარეო კურსსა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას“

„ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ საქართველოში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი, მისგან და მისი ქვეყნისგან, ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერის მკაფიო გამოხატულებაა“, — ასე შეაფასა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საქართველოში უილიამ ჰეიგის სტუმრობა. მისი თქმით, ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო გაღრმავდება. საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებებს შორის ყოველწლიური ორმხრივი დიალოგიც აღდგება. ფანჯიკიძემ იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით, საქართველო, ევროპასთან შემდგომი დაახლოების პროცესში კონკრეტულ შედეგს მიაღწევს. მისი თქმით, ჩვენი ქვეყანა მზადაა, უფრო აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამშვიდობო მისიებში. **„საქართველომ აჩვენა პროგრესი, რაც ნატო-ს ასპირანტ ქვეყანას მოეთხოვება. ველოდებით, მას ადეკვატურად შეაფასებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სამიტზე უელსში. 2008 წელს, ბუქარესტის სამიტზე, ნატო-მ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. ვფიქრობთ, დადგა დრო, გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები ამისთვის“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ საქართველოში ნატო-ს თავდაცვითი სისტემების შესაძლო განთავსების საკითხი, თავდაცვის მინისტრმა იდეის დონეზე გაახმოვანა, რომ ამ თემაზე დისკუსია გაგრძელდება, **„კონკრეტული შეთავაზება არ ყოფილა და არც გადაწყვეტილებაა ჯერ მიღებული“.** კოლეგასთან ფანჯიკიძემ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, მათ შორის, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რუსეთთან ურთიერთობა, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების გამუდმებული პროვოკაციები, უკრაინის კრიზისი...

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აფასებს საქართველოს კურსს, ასევე სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას: **„მალე საქართველო ხელს მოაწერს ასოცირების ხელშეკრულებას, რაც იძლევა პოტენციალს, გაიზარდოს საქართველოდან ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. ეს ბრუნვა ალბათ, წელიწადში 12%-ს მიაღწევს და შესაბამისად, საქართველოში უფრო მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდება. ვაფასებ თქვენს წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოებაში, ავღანეთში, ნატო-ს ოპერაციებში. ვიცი მსხვერპლის შესახებ, ვუსამძიმრებ ოჯახებს, რომლებმაც შვილები დაკარგეს. საქართველო მალე ახალ მისიას შეუდგება სამხრეთ აფრიკაში და ამ ყოველივეს ნატო აფასებს“.**

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც გამოეხმაურა: **„როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, არ გვინახავს არავითარი საბუთი, რომ რუსმა ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს. საკმაოდ დიდი ძალაა თავმოყრილი აღმოსავლეთ უკრაინის გასწვრივ. დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, მოვითხოვეთ, ეს ძალები გაიყვანონ, მაგრამ ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ“.** ბრიტანელმა დიპლომატმა რუსეთს მოუწოდა, შეწყდეს დაძაბულობა და უკრაინაში, 25 მაისს, საპრეზიდენტო არჩევნები ძალადობის გარეშე ჩატარდეს.

უილიამ ჰეიგს საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც უმასპინძლა. სამუშაო სადილზე ირაკლი ღარიბაშვილმა ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა. ისაუბრეს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და ნატო-ს სამიტის შესახებ. პრემიერის თქმით, უილიამ ჰეიგის ვიზიტი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ისევე, როგორც სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამოხატულებაა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს პრეზიდენტიც შეხვდა. უილიამ ჰეიგმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფო ნატო-ს მოახლოებული სამიტის მასპინძელი იქნება: **„ვფიქრობ, უელსში, გავაერთიანებთ ძალისხმევას, მივაღწიოთ პროგრესს. ვზრუნავთ, ჩვენი თანამშრომლობა გავაღრმავოთ“.** საქართველოს პრეზიდენტმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ბრიტანეთის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრაზე იმ დემოკრატიულ რეფორმებზეც ისაუბრეს, რომლებსაც ქვეყანა ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებს. უილიამ ჰეიგის თქმით, ეს დემოკრატიული ცვლილებები, სავარაუდოდ, ნატო-ს სამიტზე დადებითად აისახება.

„ვერსიანიუსი“

პროკურატურამ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ლევან ტაბიძე დააკავა

პროკურატურამ 2009 წლის 20 მაისს „მუხროვანის ამბოხისთვის“ ძებნილი პირების — კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის ძებნის სპეცოპერაციის დანაშაულებრივი გარემოებები გახსნა. პროკურორ კოკა კაციტაძის განმარტებით, შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ლევან ტაბიძე თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით დააკავეს: **„გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან ტაბიძემ „მუხროვანის ამბოხისთვის“ ძებნილი პირების — ლევან ამირიძის, კობა ოთანაძისა და გია კრიალაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, დაგეგმა და განახორციელა კობა ოთანაძის ნათესავებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა-წამება. 2009 წლის 20 მაისს, ღამის საათებში, ტაბიძე და მისი თანმხლები პირები შეიჭრნენ ოთანაძის ნათესავის მურად ზარიძის სახლში, რა დროსაც იქ იმყოფებოდნენ ზარიძის მეუღლე ნათია თვაური, მცირეწლოვანი 1 წლის შვილი, მშობლები და დები. ლევან ტაბიძემ ამ ეტაპზე დაუდგენელ ნიღბიან პირებთან ერთად დაიწყო მათი უმოწყალო ცემა. ტაბიძემ, ზარიძის საწოლში მყოფ მეუღლეს, სახეში რამდენიმეჯერ გაარტყა ხელი, შემდეგ და, ნათია ზარიძე, გადმოაგდო საწოლიდან და ძირს დაგდებულს უმოწყალოდ სცემა. შემდეგ, სამზარეულოში, ზარიძის დედას, რუსიკო ივანიძეს, რომელიც ხმამაღლა ითხოვდა შველას, თავის არეში ძლიერად დაარტყა მუშტი, დააგდო ძირს და კვლავ განაგრძო მისი ცემა. ტაბიძე მათგან დაჟინებით მოითხოვდა ძებნილ კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას. სასურველ შედეგს როცა ვერ მიაღწიეს, ზარიძეს და მისი ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის, მცირეწლოვან ბავშვს, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე „მოდულის“ შენობაში გადაიყვანეს, სადაც რიგრიგობით შეჰყავდათ ტაბიძის სამუშაო კაბინეტში და აგრძელებდნენ მათთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებასა და მუქარას. ნათია ზარიძემ ვერ გაუძლო ძალადობას და მიაწოდა ინფორმაცია ოთანაძის ადგილსამყოფელის თაობაზე. წამებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2009 წლის 20 მაისს, თბილისში, თიანეთის გზატკეცილზე ჩატარდა სპეცოპერაცია, რა დროსაც გია კრიალაშვილი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ხოლო კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე მძიმედ დაიჭრნენ. ლევან ტაბიძეს ზარიძეების ოჯახის წევრების მიმართ გამოჩენილი სისასტიკის და ამ გზით ძებნილი პირების ადგილსამყოფელის შესახებ მიღებული ინფორმაციის მოპოვებისათვის, შს ექსმინისტრის ივანე მერაბიშვილის ბრძანებით გადაეცა ფულადი პრემია 10 000 ლარი, ხოლო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით მიენიჭა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი.**

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144/1-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 9-დან 15 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს. მთავარი პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას შს ექსმინისტრის ივანე მერაბიშვილისა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ერეკლე კოდუას ხელმძღვანელობით ჩატარებული „მუხროვანის ამბოხისთვის“ ძებნილი პირების — კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციის დანაშაულებრივი გარემოებების დასადგენად“.

„პირველი“

ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი დაეცა, პოლიტიკოსებს შორის კი ირაკლი ალასანია ლიდერობს

8 მაისს, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. საველე სამუშაოები 26 მარტიდან 18 აპრილამდე ჩატარდა. ჯამში, 3 942 მოქალაქე პირისპირ ინტერვიუს წესით, წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხა. უმრავლესობას ყველაზე მეტად პატრიარქი მოსწონს. რაც შეეხება პოლიტიკოსთა რეიტინგს, რესპონდენტთა უმეტესობის (67%) მოწონება თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ დაიმსახურა, მეორე ადგილს ირაკლი ღარიბაშვილი იკავებს 64%-ით. სამეულში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც მოხვდა, კახი კალაძე 51%-ს მოსწონს, 24%-ს კი არა. რაც შეეხება ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს, ირკვევა, რომ წინა კვლევის შედეგებთან შედარებით მისი რეიტინგი 23%-ით დაეცა.

საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის „მოწონების მაჩვენებელი“ 46%-ს აღწევს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი დავით ბაქრაძე რესპონდენტთა 51% მოსწონს. ჩამონათვალში საქართველოს ექსპრეზიდენტიც მოხვდა, რომლის მოწონების რეიტინგი 23%-ია. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების რეიტინგს, რესპონდენტთა უმრავლესობა — 51% ნაციონალურ მოძრაობას ქვეყანაში ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად მიიჩნევს, მეორე ადგილს 8%-ით ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა იკავებს, მესამე პოზიციაზე კი 4%-ით ლეიბორისტული პარტია გავიდა. ჩამონათვალში 3%-ით მმართველი კოალიცია „ქართული ოცნებაც“ მოხვდა. კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციის არსებობა, გამოკითხულთა 85%-მა დადებითი პასუხი გასცა.

რესპონდენტთა 91%-ს პატრიარქის საქმიანობა მოსწონს, 97%-ს დავით უსუფაშვილის, 18%-ს დავით ბაქრაძის, ხოლო 14%-ს უჩა ნანუაშვილის. მინისტრთა საქმიანობის რეიტინგში ალასანიას შემდეგ მეორე ადგილს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო იკავებს, მესამეს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მომდევნო ადგილებს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ინაწილებენ. გამოკითხულთა 19% საქართველოს მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის საქმიანობას „საშუალოდ“ აფასებს, 5%-ს მისი საქმიანობა არ მოსწონს, 4% კი დადებითად აფასებს. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობას – 68 %-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მერობის ყველაზე სასურველ კანდიდატად დავით ნარმანია დასახელდა. რესპონდენტთა 39% პირველივე არჩევანს სწორედ კოალიციის კანდიდატის სასარგებლოდ აკეთებს, 20%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს, 13% კი არც ერთ კანდიდატს ირჩევს. რაც შეეხება ოპოზიციის კანდიდატებს, 10% ხმას პირველ რიგში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ ნიკოლოზ მელიას მისცემდა, 9% — ნინო ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას, 4% პასუხზე უარს აცხადებს, 2% კი ფავორიტად ლეიბორისტულ პარტიას ასახელებს. რაც შეეხება მეორე არჩევანს, ამ კატეგორიაში დავით ნარმანიას გამოკითხულთა მხოლოდ 5% ერგო, ნიკოლოზ მელიას 6%, ქდმ/დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატს 5%, ლეიბორისტულ პარტიას 5%. გამოკითხულთა 40% აცხადებს, რომ ამ მიმართულებით მეორე არჩევანი არ აქვს.

რუსუდან შელია

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით დარახველიძესთან

რომელმა კითხვამ ჩაჭრა დევნილების მინისტრი და რაში უშლიან ხელს ნაციონალები

წინასაარჩევნოდ გაცემულ დაპირებებს ავად თუ კარგად ასრულებს, დევნილთა ნაწილის მდგომარეობაც გაუმჯობესდა, მაგრამ დავით დარახველიძე წინსვლის ტემპით მაინც უკმაყოფილოა. როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პირველი პირი აცხადებს, დევნილების დახმარება გაიზრდება, მათი განსახლების პრობლემა რამდენიმე წელიწადში სრულად მოგვარდება, თუმცა საქართველოს მთავრობას მაინც უკეთ მუშაობის პრეტენზია უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, ერთი თვის წინ, დევნილთა ბინის მშენებლობის პროცესი პრემიერ-მინისტრმა უარყოფითად შეაფასა, რამაც დავით დარახველიძე პრესისთვის უფრო პოპულარული გახადა. ამის შესახებ მინისტრი დეტალურად გვიამბობს, მანამდე კი ხუმრობს, ასე იცის პოპულარობამო.

— როგორ ფიქრობთ, პოპულარული ხართ?

— არ ვიცი, ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ძალიან ბევრი პრობლემა მაქვს და ამ თემაზე საფიქრალად მაინცდამაინც არ მცალია.

— სამინისტროს პრობლემებს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, აბა, ოჯახის პრობლემებით თქვენ როგორ შეგაწუხებთ?!

— უბრალოდ, პრემიერ-მინისტრმა რომ დაგტუქსათ, ამის მერე საუბარი მინისტრთა კაბინეტის „კარუსელზე“ დაიწყო და ითქვა, რომ თქვენ, ოდიშარია, ხადური და ხათუნა გოგოლაძე შეიძლება შეგცვალონ.

— ეგ საიდან მოიტანეთ? გურამ ოდიშარიას ირგვლივ აჟიოტაჟი მართლაც იყო ატეხილი, თუმცა დარწმუნებით გეტყვით — დღეს საქართველოში მოქმედი მთავრობა ყველაზე უკეთესია, ვიდრე დამოუკიდებელ საქართველოს ოდესმე ჰყოლია, მაგრამ არა საუკეთესო. საუკეთესო რომ ვიყოთ, ამისთვის ალბათ, ჩვენი შრომის შედეგიც უფრო შთამბეჭდავი უნდა იყოს. რაც შეეხება იმ შემთხვევას, ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ობიექტი, რომელიც დევნილებს ზუგდიდში გადავეცით, ხარვეზებით აშენდა. როცა პრემიერმა გაიგო, ამ კორპუსის მშენებელი კომპანია „ბლოკ ჯორჯია“ იყო და ის პრობლემებიც გაახსენდა, რაც ამ კომპანიამ შექმნა, ერთთვიანი ვადა მისცა ხარვეზების გამოსასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ბლოკ-ჯორჯია“ უნდა დაგვეჯარიმებინა. თქვენმა კოლეგებმა კი, რატომღაც, ჩათვალეს, რომ პრემიერმა მე მომცა გაფრთხილება და ერთთვიანი ვადა. მას აქეთ თვეზე მეტი გავიდა.

— რა ხარვეზები ჰქონდა შენობას — როგორც ღარიბაშვილმა თქვა, „საქმე ფუქსავატურად იყო გაკეთებული“!

— სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიურომ ეს ობიექტი შეამოწმა და, სხვათა შორის, 19 000 ლარით დააჯარიმა სამშენებლო კომპანია. ეს ზოგადად ასეა — დევნილებისთვის ობიექტის გადაცემამდე საექსპერტო ბიურო ისედაც ამოწმებს შენობებს, ამ ერთთვიან ვადაში კი კომპანიამ, სამინისტროს ზედამხედველებთან ერთად, ყველა ოჯახი ჩამოიარა, მათი შენიშვნები ჩაინიშნა და ახლა ამ ოჯახების 80%-ზე მეტის ხელმოწერა აქვს, რომ ხარვეზები აღმოფხვრილია. როცა ყველა კმაყოფილი იქნება, შესახლებაც დაიწყება, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ხარვეზები მხოლოდ კოსმეტიკური იყო და არ ეხებოდა შენობის უსაფრთხოებას.

— ეს გრძელვადიანი განსახლების პროგრამა როდის დასრულდება, გაქვთ ამაზე პასუხი?

— ჩამჭრელი კითხვაა... 2-3 წელი ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, რადგან დღეიდან 2016 წლამდე იმაზე მეტია გასაკეთებელი, ვიდრე განვლილ 20 წელში გაკეთდა. წინა მთავრობებმა, ჯამში, 24 000 დევნილი ოჯახი დააკმაყოფილეს, ახალი საცხოვრებლები არ აშენებულა, მათ სასტუმროები გადასცეს, ჩვენ კი ერთ წელიწადში 2 000 ახალი საცხოვრებელი ავაშენეთ.

— ოცნების დონეზე მაინც როდის დასრულდება ეს პროცესი?

— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნისას.

— ანუ დაახლოებით 3 წელიწადში?

— ცოტა მეტი გვჭირდება.

— ე.ი. მეორე ვადითაც გინდათ მინისტრობა. პირველი ვადით, ამ 2 წელიწადში გაკეთებული საქმითა და წინსვლის ტემპით კმაყოფილი ხართ?

— არ ვიტყვი, რომ ტემპით კმაყოფილი ვარ, უბრალოდ, იმ გარდამავალმა პერიოდმა და კოჰაბიტაციამ გავლენა ჩვენზეც იქონია. ახლა სამინისტროს შესაძლებლობებს ვაძლიერებთ, გვემატება მინისტრის ერთი მოადგილე და სამმართველო, რომელიც მხოლოდ ეკომიგრანტების საკითხებზე იმუშავებს. სამწუხაროდ, მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა უპრეცედენტო რაოდენობის ბინების აშენებას გეგმავს დევნილთათვის, ამ საქმეში საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობა მილევად რეჟიმშია. ამერიკის განვითარების სააგენტოს პროგრამები წელს ზაფხულსა და შემოდგომით სრულდება, მერე რა იქნება, არც მე ვიცი და არც მათ. იგივე მდგომარეობაა ევროკავშირის დახმარებაზეც — ფოთში 7 კორპუსის აშენება სრულდება, ივნისში დავანაწილებთ და მერე როგორ გავაგრძელებთ ურთიერთობას, არ ვიცი.

— კი მაგრამ, ასე რატომ მოხდა, იქნებ, ჩათვალეს, რომ გეზი მართლა რუსეთისკენ ავიღეთ?

— არავითარ შემთხვევაში! ეგ არაფერ შუაშია, საქმე ისაა, რომ ბრუსელის დონორთა ორგანიზაციამ 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს 4 მილიარდი დოლარი გამოუყო და ეს თანხა მთავრდება. ახალი შეთანხმებები საქართველოს მთავრობასა და ამ ორგანიზაციებს შორის კი ჯერჯერობით, არ დადებულა.

— მერე თქვენ რამეს აკეთებთ ამის შესაცვლელად?

— დღესაც მქონდა ორი შეხვედრა ამ ორივე ორგანიზაციასთან. უბრალოდ, ვისაც შევხვდი, იმ დონის წარმომადგენლები არ ყოფილან, საკითხი გადაეწყვიტათ, თუმცა ინფორმაციას ხელმძღვანელობასთან მიიტანენ. სიმართლე გითხრათ, გულდაწყვეტილი ვარ... ხელშეშლა არც საქართველოში გვაკლია — წინა მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, დღემდე არ შეცვლილა და ისინიც დიდ პრობლემებს გვიქმნიან.

— ახლა ადგილობრივი არჩევნები წამოგეშველებათ, მაგრამ თქვენი სიტყვები ჰაერიდან მოტანილ ბრალდებებს რომ არ დაემსგავსოს, მითხარით, რაში გიშლიან ხელს ძველი მერები და გამგებლები?

— იმდენი ობიექტი არ მაქვს, რამდენიც მჭირდება. მაგალითად, ქალაქებში თვითმმართველობისგან ვერც ერთ ობიექტს ვერ ვიღებ. რაც მივიღე, ეკონომიკის სამინისტრომ მომცა; გარდა ამისა, არის ცალკეული დაუხვეწავი კანონები, რაც მიშლის ხელს. ასეთია კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის მიხედვით, ნებისმიერი ახალი დავა შესყიდვის ან გადაცემის პროცესს 10 დღით ახანგრძლივებს. შეიძლება, ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულება თვეობით ვერ გააფორმო, რადგან მას ტენდერის ყველა მონაწილე სათითაოდ უჩივის და ეს პროცესი ყველანაირ გონივრულ ვადას სცილდება. ეს არის საბოტაჟი! საბოტაჟი იყო ისიც, რომ ყველა ობიექტი, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო გადმოგვცემდა და მეორე დღეს სანახავად მივდიოდით, დევნილებით ან სოციალურად დაუცველებით სავსე გვხვდებოდა.

— კარგად მახსოვს თქვენი არაპოპულარული განცხადებაც, პოლიციის ძალით რომ აპირებდით მათ გამოსახლებას — ასეთი ცხელი კერები კიდევ დარჩა?

— მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს 12 ობიექტიდან მოგვიხდა შეჭრილების გამოსახლება, ძალადობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. თითი არავისთვის დაუკარებიათ. ჩვენ მიერ დაქირავებული მუშები ხელს კიდებდნენ მათ ავეჯს, ჩვენსავე დაქირავებულ მანქანებში აწყობდნენ და ამ ხალხს თავიანთ სახლებში აბრუნებდნენ. ძალიან გაჭირვებულებს სახლიც დავუქირავეთ. 1 200 ადამიანი ისე გამოვასახლეთ, არაფერი მომხდარა. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, თბილისში 550 ოჯახს ბინას ვერ მივცემდით!

— გვპირდებოდით, დევნილების დახმარება 28-დან 56 ლარამდე გაიზრდებაო და მხოლოდ 45 ლარამდე გაიზარდა — დანარჩენი 11 ლარი სად წავიდა?

— ხელისუფლებისგან ზოგადი დაპირებები როგორც დევნილებს, ისე სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას, პენსიონერებსა და სხვა ჯგუფებს შეეხო. მაშინ დევნილთა მინისტრად საერთოდ არც განვიხილებოდი, თუმცა ამ დაპირების ვადა ისედაც 4 წელია, ჩვენ კი პირველივე წელს შემწეობა 28-დან 45 ლარამდე გავზარდეთ. 56 ლარამდე 11 ლარი გვაკლია და თქვენი გაზეთის საშუალებით, იმასაც დავაანონსებ, რომ რამდენიმე ლარი დევნილების დახმარებას უახლოეს თვეებშიც დაემატება!

— ამჟამინდელი მდგომარეობით, კიდევ რამდენი დევნილი ოჯახი რჩება სახლ-კარის გარეშე?

— ახლა დარჩენილია 35 000 ოჯახი, ბინით სულ დაკმაყოფილებულია 27 000 ოჯახი, ხოლო ვინც ბინის სანაცვლოდ ფული აიღო, ასეთი 5 000-ზე ცოტა მეტია.

— 2014 წლის ბოლოს კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი დაკმაყოფილდება ბინითო, ამბობდით პრემიერ-მინისტრთან ერთად. ეს წინასაარჩევნო ფანდი იყო, თუ რეალური დაპირება?

— ახლა ჩვენს წინაშე, თუნდაც მხოლოდ თბილისში, ძალიან მწვავედ გადასაჭრელი პრობლემები დგას, რომლებიც ვერც ამ წელს აღმოიფხვრება და ვერც მომავალ წელს. ეს პროცესი 3-4 წელიწადში თუ დასრულდა, ეგეც ძალიან კარგი იქნება. პროექტები გამზადებული გვაქვს — ახლა 600 მილიონის ღირებულების პროექტი გვაქვს მზად და დღესვე შეგვიძლია მუშაობა დავიწყოთ, ცოტა ფინანსებში გვიჭირს.

— იმედია, ეს მხოლოდ საარჩევნო პათოსი არაა. თქვენც იცით, არჩევნებში დევნილთა ხმა დიდი ძალაა და ამ ძალას წინა ხელისუფლება ოსტატურად იყენებდა. თქვენც იგივეს ხომ არ აპირებთ?

— ახლა სწორედ ის დრო და ის ხელისუფლებაა, რომელსაც მართლა უნდა მისცენ ხმა. ჩვენ მათი პრობლემების დასრულების ვალდებულება ავიღეთ და თუ ეს ხელისუფლება დიდხანს იქნება ქვეყნის სათავეში, დაწყებულ საქმეებსაც ბოლომდე მივიყვანთ. ვიბრძოლებ, რომ მართლა შევასრულო ყველა დაპირება!

— ეკომიგრანტების შესახებ კანონზე მუშაობასაც ამთავრებთ და დევნილთა სამინისტროს ფუნქციები ძლიერდება. კონკრეტულად რა იცვლება და თქვენი ფუნქცია საერთოდ რაში გამოიხატება ეკომიგრანტებთან მიმართებაში?

— ცნება „ეკომიგრანტი“ სამართლებრივ სივრცეში საერთოდ არ იყო. ეს არის ხალხი, ვისაც სახლი სტიქიურმა უბედურებამ დაუზიანა და ამის გამო თუნდაც სხვა სოფელში მოუწია გადასვლა. ჩვენი ფუნქცია იქნება, უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს შევუძინოთ სახლი, გადავცეთ საკუთრებაში და სადაც დავასახლებთ, იმ ადგილას ინტეგრირებაში დავეხმაროთ.

— ბოლო პერიოდის სკანდალზეც მაინტერესებს თქვენი აზრი — პატრიარქმა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე თქვა, ხელისუფლებამ უკანონობა დააკანონაო. თქვენ ვის მხარეს ხართ — საქართველოს პატრიარქის თუ საქართველოს ხელისუფლების?

— არ ვფიქრობ, რომ პატრიარქი და ხელისუფლება სხვადასხვა მხარესაა. ამ კანონის ირგვლივ ზედმეტი აჟიოტაჟი ატყდა, საფრთხე, რაზეც საუბარია, ცოტა გადაჭარბებულად მიმაჩნია. მე, მაგალითად, ჩემს გულში უნდა ჩავიხედო და თუ ეს კანონი ჩემს პრინციპებს ერგება, მაშინ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, კანონი და პრინციპები ერთმანეთისგან ძალიან შორსაც არ არის.

— პირდაპირ რატომ არ მპასუხობთ?

— მთავარ სადავო საკითხზე შემიძლია გითხრათ შემდეგი — ჰომოსექსუალი ადამიანები არიან ავადმყოფები და თანაგრძნობას იმსახურებენ, თუმცა ეს ადამიანები აქციებს ატარებენ და ამ აქციებით პურს მათი მხარდამჭერები ჭამენ, რომლებიც სრულიად ნორმალური ორიენტაციის მქონენი არიან. ჩვენ რა საქმესაც ვაკეთებთ, იმის რეკლამასა და საზოგადოების სრულად ინფორმირებასაც ვერ ვახერხებთ და იმ კაცმა, რომელსაც რაღაც სექსუალური გადახრა აქვს, ამას რეკლამა რატომ უნდა გაუკეთოს?! ჯამში, თუ მეტყოდნენ, რომ ამ კანონის მხარდაჭერა, გინდა თუ არა, ევროკავშირისკენ გადადგმული ნაბიჯიაო, მაშინ ვიტყოდი, რომ მინდა. თუ მკითხავენ, გინდა თუ არა შენი ქვეყნის ტრადიციები დაცული იყოსო, ვიტყვი, რომ მინდა. ახლა ეს ორივე აუცილებლობა უნდა შევათავსოთ!

ვერსიანიუსი

გუმბათის ჩამონგრევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში მშენებარე ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა და ნანგრევებში ოთხი ადამიანი მოყვა. მათგან ორი გარდაიცვალა, ორი ახალგაზრდა კი ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში მოათავსეს. დაშავებულების მკურნალი ექიმის, ლევან სუხიშვილის განმარტებით, ერთ პაციენტს ხერხემლის ტრავმა აქვს, მეორეს კი ბარძაყის მოტეხილობა და დაზიანებები გულმკერდის არეში. დაშავებულების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება: **„ახალგაზრდა პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია. მათ აქვთ მრავლობითი დაზიანებები. ერთ-ერთმა ხერხემლის ტრავმა მიიღო გულმკერდის დონეზე, თუმცა ზურგის ტვინის კომპრესია არ აღენიშნება. პაციენტებს სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები არ აქვთ, ისინი არიან მონიტორინგის ქვეშ“.**

ტაძრის ნანგრევებიდან საავადმყოფოში გადაყვანილი ახალგაზრდები, ბათუმში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა მოინახულა და განაცხადა: **„მინდა, გამოვხატო მწუხარება ორი ადამიანის გარდაცვალების გამო. მე და ჩემი მეუღლე ბათუმში ამერიკის საზღვაო ძალების გემს ვმასპინძლობთ, გემზე ექიმებიც არიან. როგორც კი შევიტყვეთ ამ ტრაგედიის შესახებ, გადავწყვიტეთ, მოვსულიყავით საავადმყოფოში და საჭიროების შემთხვევაში, რაიმე ფორმის დახმარება შეგვეთავაზებინა, თუმცა ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება შესაბამისად უმკლავდება ვითარებას, სათანადო ზრუნვა აღმოუჩინეს დაზარალებულებს. შეგვიძლია მორალური მხარდაჭერა გამოვხატოთ და კიდევ ერთხელ მივუსამძიმროთ დაღუპულთა ოჯახებს“.**

ახალსოფელში ეკლესიის ჩამონგრევის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. საქართველოს შინაგან სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. გამოძიებას აჭარის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

ეროსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ არჩევნებამდე პოლიტიკური ბატალიები მოსალოდნელია. მიუხედავად ამისა, სასულიერო პირების მიერ დაანონსებულ მასშტაბურ არეულობას კატეგორიულად გამორიცხავს, რადგან ხელისუფლება ამას არ დაუშვებს. იმის თქმაც არ უჭირს, რომ პატრიარქის განცხადების მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, საამაყო ნაბიჯი გადადგა. პოლიტიკური ძალების წინასაარჩევნო კამპანიასა და მიმდინარე პროცესებს „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი აფასებს.

ლევან ბერძენიშვილი: „როგორც კი ამას ვიტყვი, იტყვიან, ნაციონალების კაციაო“

— საპრეზიდენტოსთან შედარებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. ასე ფიქრობენ როგორც საარჩევნო, ისე დარღვევების პრევენციისთვის შექმნილ კომისიაშიც. ბუნებრივია, პოლიტიკური საარჩევნო ბატალიები გველის, მაგრამ ჯამში, შედარებით მშვიდ არჩევნებს ველოდებით. ხელისუფლებას გამარჯვებისთვის საკმარისი რესურსი აქვს არა იმიტომ, რომ ყველა დანარჩენ პარტიას სჯობს, უბრალოდ, ქვეყანაში მეორე და მესამე ძლიერი პოლიტიკური ძალა ვერ გამოიკვეთა. ნაციონალური მოძრაობა და დაქსაქსული არასაპარლამენტო ოპოზიცია სახელისუფლო კოალიციას კონკურენციას ვერ გაუწევს.

— საარჩევნო კოდექსში არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნები რომ დაკმაყოფილებულიყო და წინასაარჩევნოდ ყველა პოლიტიკური ძალა თანაბარ პირობებში ყოფილიყო, კონკურენციას მაშინაც ვერ გაგიწევდნენ?

— კახა კუკავა თუ ნინო ბურჯანაძესთან ვერ მივიდა, ამაში ჩვენ რა წვლილი მიგვიძღვის? პროცესებს უფრო საქმიანად უნდა მიუდგნენ და ბრალდებები ნაკლებად გააჟღერონ... ჩვენ როგორ უნდა დავხმარებოდით? ბუნებრივია, არ გვინდა, არჩევნებში მოგვიგონ, ამიტომ მათ ნაცვლად ჩვენ ვერ ვიმუშავებთ.

— საარჩევნო პროგნოზი როგორია, პირველ მეორე ადგილს ისევ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ინაწილებენ?

— თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას ჩააჩოჩებს, არ მეწყინება, მაგრამ ჩანს, რომ ამას ვერ მოახერხებენ.

— ოპოზიციაზე დიდ საფრთხეს ხელისუფლებისთვის ახლა, მგონი, სასულიერო პირები წარმოადგენენ. ანტიდისკრიმინაციული კანონი პატრიარქმა უკანონობის დაკანონებად, ცოდვად შეაფასა და მიანიშნა, რომ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას მომავალში ინანებს.

— სასულიერო პირები საფრთხეს არავისთვის წარმოადგენენ... უკაცრავად, მაგრამ ყველას საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა აქვს. ისეთი საშიშებიც არ არიან, როგორც წარმოაჩენენ. პარლამენტმა ყველა პროცედურის დაცვით, საკმაოდ მნიშვნელოვანი კანონპროექტი მიიღო. ბუნებრივია, ხელისუფლებისა და ეკლესიის პოზიციები განსხვავდება, მაგრამ მთავარი უნდა გვესმოდეს — საქართველო დანარჩენ მსოფლიოს უცხადებს, რომ ჩვენთან ადამიანების დისკრიმინაცია არ მოხდება და ვიზების ლიბერალიზაციასაც ვიმსახურებთ. იმ ქვეყნიდან, სადაც ადამიანებს ნებისმიერი ნიშნით დევნიან, ხალხი გარბის, ეს რთული გასაგები არ უნდა იყოს, პარლამენტს ამის ფასი ბევრი არაფერი გაუკეთებია და მეამაყება, რომ ზეწოლის მიუხედავად, ეს კანონი მივიღეთ. სამარცხვინოა, როცა ვიღაც მეორე ადამიანის დისკრიმინაციას ითხოვს.

— საპატრიარქოს პოზიციაა სამარცხვინო?

— როგორ გეკადრებათ, ამას რატომ ვიტყვი... სამარცხვინოა, როცა ადამიანები თანამოქალაქის დისკრიმინაციას ითხოვენ და ამ ადამიანებს ეკლესიასთან კავშირი არ აქვთ. საპატრიარქოს პოზიცია გასაგებია, მაგრამ ეკლესიის გარდა, სხვა ცხოვრებაც არსებობს. ეს კანონი სახელმწიფოს სჭირდება, ეკლესიას კი ადამიანებზე საკუთარი წარმოდგენა აქვს და ჩვენ შორისაც სწორედ ეს განსხვავებაა. რაც შეეხება მუქარას, ეკლესია ასეთი ენით არ უნდა საუბრობდეს. პირადად მე, პატრიარქის უფრო მჯერა, რომელიც არ გვემუქრება, ვიდრე იმ მღვდლებისა, რომლებიც კუნთებზე იყურებიან. მღვდლის ამოცანაა, ყველა უყვარდეს და, თუ რამე შეგვეშალა, მით უმეტეს, უფრო მეტად უნდა შეგვიყვარონ, რადგან ქრისტეს ყველაზე მეტად შემცოდებელი და დამნაშავე შვილი უყვარს.

— სასულიერო პირები არეულობით იმუქრებიან და 17 მაისამდეც რამდენიმე დღე რჩება. გაქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, პროცესი სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს?

— მასშტაბურ აქციას არ ველი და საქართველო 17 მაისსაც გადაიტანს. თანაც ტყუილი საუბარია, ეს კანონი მიღებულია! ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ არ მიგვეღო, რუსეთის სიხარული და არეულობა მაშინ გენახათ! თუ ვინმეს ქვეყანაში დაძაბულობა და არეულობა უნდა, სახელმწიფო ინტერესების დამცველად ვერ ჩაითვლება... თანაც არ მჯერა, რომ რომელიმე დაჯგუფებას საქართველოს არევა მარტივად შეუძლია, მით უმეტეს მღვდელს, რომელსაც პარლამენტის გადაწყვეტილება არ მოეწონა. ჩვენ ასეთი სახელმწიფო არ გვაქვს! მშვიდობიანი გამოსვლები კი ალბათ იქნება, რაც მათი უფლებაა. მშვიდობიანი საპროტესტო აქციები როცა გაუხარდებათ, მაშინ ჩაატარონ.

— ისე, სასულიერო პირებმა არაერთხელ შეგახსენეს, რომ „ქართული ოცნება“ ეკლესიასთან ვალშია და მათ გარეშე არჩევნებში გამარჯვებასაც ვერ მოახერხებდით.

— არავის, მათ შორის, არც ეკლესიის ვალი არ გვაქვს და არ ვიცი, რაშია საქმე. საპატრიარქოს არასოდეს დავამადლით, რომ ბიუჯეტიდან ფულს ვაძლევთ, მაგრამ მასთან ვალში ნამდვილად არ ვართ, რადგან ეკლესიამ კი არა, ამომრჩეველმა აგვირჩია და, თუ მომავალში ასარჩევი არ ვიქნებით, ამას მხოლოდ ამომრჩეველი გადაწყვეტს. ეკლესიას არჩევნების არც წაგება შეუძლია და არც მოგება, რადგან სახელმწიფოსგან გამოყოფილია. არჩევნებს პოლიტიკური პარტიები იგებენ. ზოგ მწერალს ჰგონია, წიგნს დაწერს და ხალხს გამოაცოცხლებს. არადა, ზოგი წიგნი, ორი ათასი წელია გვეუბნება, ცუდი საქმე არ აკეთოთო და მაინც ვაკეთებთ. ვიმეორებ, ზოგს თავის თავზე, ორგანიზაციასა თუ რელიგიაზე ზედმეტი წარმოდგენა აქვს, მაგრამ პოლიტიკა მხოლოდ რეალობის ხელოვნებაა. ეკლესია არჩევნებში არასოდეს მონაწილეობს ისე, როგორც ვიღაც ახლა გვიხატავს. თქვენი ჭირიმე! კარგად ვიცით, ვინც ამომრჩეველსა და პოლიტიკოსს შორის ჩადგა, ყველამ თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. თანაც ეკლესიის ამოცანა პოლიტიკა არ არის, მათ ეს საერთოდ აკრძალული აქვთ და დანაშაულია, რასაც აკეთებენ, მაგრამ რა მოხდა მერე, თუ ერთი-ორი გაურკვეველი ადამიანი შეცდება?! ანაფორა ინდულგენცია არ არის. რადგან ანაფორა ჩაიცვა, არ უნდა შეეშალოს? ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო, უთქვამთ ქართველებს.

— და ეს მხოლოდ შეცდომაა თუ მიზანმიმართული კამპანია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ?

— დარწმუნებული ვარ, უმეტესობას ეშლება. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის ევრაზიული კავშირი, რა თქმა უნდა, რუსეთიდან იმართება. ზოგი შემცდარია, ზოგიც აგენტია, ზოგსაც ფულს უხდიან, მაგრამ ვინც იტყვის, რომ ქვეყანას სინამდვილეში სასულიერო პირები მართავენ და არა პოლიტიკოსები, არჩევნების შედეგებს შეხედოს. ვინც ამბობს, რომ მამათმავალი უნდა ვცემოთ, ბნელია და მასში ნათელი უნდა შევიტანოთ. ამას იწილო-ბიწილო არ სჭირდება, მსგავსი საუბრები 21-ე საუკუნეში სამარცხვინო და თავის მოჭრაა, მებრძოლი გაუნათლებლობა და სიბნელის ქადაგებაა! კარგი იქნება, თუ ასეთი პოზიციის ადამიანებს განათლებას მივუსჯით და პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოვაშორებთ. სხვათა შორის, ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი საპატრიაქროსთან მუდმივი თანამშრომლობით დაიწერა. მიხეილ სააკაშვილმა, ორი წლის წინ ამ კანონის მიღება ვერ შეძლო, რადგან მხდალი იყო და შეეშინდა. ჩვენ კი არჩევნებამდე ეს ნაბიჯი გადავდგით. ამის გამო თუ ამომრჩეველი ხმას არ მოგვცემს, კი ბატონო, რა პრობლემაა.

— სანამ პარლამენტი დისკრიმინაციას ებრძვის, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ქუჩურ გარჩევებში რომ გადაიზარდა, ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ არის?

— მსგავსი შემთხვევები მიუღებელია და საქმეც ნაწილობრივ კი არა, სრულად უნდა გაიხსნას. ძველი საქმეებიც სრულად გასახსნელია და მიდგომა — სანამ ერეკლე კოდუა ციხეში ჩაჯდება, მისი ძმა უნდა იცემოს, თუნდაც სამართლიანად, აბსოლუტურად დაუშვებელია. ადამინის სიმართლე მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ლინჩის წესი და მეუღლეების ტრაბახი — ჩემი მეუღლე ვაჟკაცია და ამიტომ სცემაო, სამარცხვინოა და გაუნათლებლობაზე მიანიშნებს. სამართლიანობის აღდგენა ხანგრძლივი პროცესია. ახლა სამართლიანობა უნდა დამკვიდრდეს და ქუჩაში ცემა-ტყეპა დასრულდეს. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ყველა ძველ საქმეს გამოიძიებენ. სანამ კობა დავითაშვილის ცემაში დამნაშავე პირები არხეინად არიან, დეპუტატის ცემა დედამიწის ზურგზე არავის შეაწუხებს. ნუგზარ წიკლაურს უნდა სცოდნოდა, რომ, როცა კობა დავითაშვილის ცემას მხარს უჭერდა, ერთ მშვენიერ დღეს, მასაც მიადგებოდნენ და ცხვირ-პირს დაუნაყავდნენ.

— ამიტომაც გეკითხებით ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე. რატომ გაჭიანურდა პროცესი და ძველი საქმეებიდან ერთის გამოძიებაც კი არ დასრულდა?

— სამართლიანობის აღდგენას ასი-ორასი წელი სჭირდება. საქართველოში საუკუნეებია კანონი ირღვევა და ერთ წელიწადში რა უნდა აღდგენილიყო? ან რომელი სამართალი უნდა აღდგეს, კომუნისტებისა თუ ნაციონალური მოძრაობისდროინდელი? სამართლიანობა ანტიდისკრიმინაციული, ასევე მოსმენების შესახებ და სხვა მსგავსი კანონების მიღებით უნდა დამკვიდრდეს. მოქალაქე ნაწყენია, კოდუამ ფული წამართვაო, მაგრამ იმავე მოქალაქემ ფული როგორ იშოვა, ხომ უნდა დავინტერესდეთ? ზოგადად, აუცილებლად დაისმის კითხვა, ვინ იშოვა ამ ქვეყანაში ფული და ეს პროცესი არასოდეს დასრულდება. ნინო ბურჯანაძე რომ ამბობს, მდიდარი ვიყავიო, რატომ იყო მისი რაიკომის მდივანი მამა მდიდარი? იმიტომ რომ იპარავდა. სხვა პასუხი არ არსებობს. სამართლიანი იყო, რომ იპარავდა? სამართლიანობას ბოლომდე ვერავინ აღადგენს! ისე, სამართლიანობა ყველაზე მძიმე სიტყვაა, რომლითაც დედამიწაზე ყველაზე დიდი დანაშაულები ჩაიდინეს, ამიტომ მას მაინცდამაინც ნუ ჩავეჭიდებით.

— ამ სიტყვას წინასაარჩევნოდ თქვენი გუნდი თავად ჩაეჭიდა, როცა სამართლიანობის აღდგენა მთავარ დაპირებად დაასახელა.

— პირადად ლევან ბერძნიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ სამართლიანობა უნდა დამკვიდრდეს. საზოგადოების ნაწილი ითხოვს, ნაციონალები დაჩაგრეთ და მათთვის სამართლიანები ნუ იქნებითო. ერთ ნაწილს აწყენინო და მეორეს არა, ასე არ გამოვა, რადგან სამართლიანობა და კანონი ყველას მიმართ თანაბრად უნდა მოქმედებდეს. როგორც კი ამას ვამბობ, ამბობენ ნაციონალების კაციაო, ამიტომ საქართველოში პოლიტიკოსების არავის შეშურდეს. საქართველოში დემოკრატია რამდენიმე წელიწადში აშენდება. ერთ წელიწადში ვერც ევროპული ქვეყანა გავხდებით და თუ ვინმე გეტყვით, რომ გაისად ევროკავშირში შევალთ, არ დაუჯეროთ, ხალხო! ანტიდისკრმინაციული კანონის მიღებითაც იმის თქმა გვსურს, რომ ამ კანონის დონის ხალხი კი არ ვართ, გვინდა, ასეთები ვიყოთ და იდეალებს შევხვდეთ.

ვერსიანიუსი

31-ე ბატალიონის მეოთხე ნაკადი სამშობლოში დაბრუნდა

ავღანეთიდან ქართველი მებრძოლები სამშობლოში ბრუნდებიან. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის 150 სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი, შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ალუდა კოპალიანი და სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ბესიკ გოფოძე ალექსეევკის აეროპორტში დახვდნენ.

სამხედროებს საქართველოში დაბრუნება და ISAF-ის მისიის წარმატებით განხორციელება მიულოცეს ასევე მესამე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა და გენერალური შტაბის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

31-ე ბატალიონის სამხედროებმა ISAF-ის მისია აშშ-ს საზღვაო ქვეითების დაქვემდებარებაში ჰელმანდის პროვინციაში შეასრულეს. ბატალიონის მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში ამბოხებულთა ძალების გაუვნებელყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა და უსაფრთხოების ზონების კონტროლი იყო. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში როტაციის წესით მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა. რამდენიმე კვირაში 31-ე ბატალიონის სამხედროები სამშობლოში სრულად დაბრუნდებიან.

„ინტერპრესნიუსი“

ვალერი გელაშვილი 3 თვე სახელმწიფო დაცვით ივლის

„ყველაზე საშიში ის ვითარებაა, როცა ყველა ღუმს და არავინ გემუქრება“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

დეპუტატ ვალერი გელაშვილის საქმე პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ გახსნა და ერეკლე კოდუასა და გიორგი სირაძეს ბრალი წაუყენა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ორივეს 10-დან 14 წლამდე პატიმრობა ემუქრება, თუმცა ბრალი წარედგინა კიდევ რამდენიმე პირს და, როგორც თავად დეპუტატი აცხადებს, ვიდრე გამოძიება უშუალო შემსრულებლებზე არ გავა, მისი სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია. ჯერ კიდევ წინა თვეში, გელაშვილმა პროკურატურას სპეციალური სახელმწიფო დაცვის დანიშვნა მოსთხოვა და სიტყვიერი დაპირება მიიღო კიდეც — დაცვას რამდენიმე დღეში დაგინიშნავთო. 8 მაისს გენერალური პროკურორის მოადგილემ, ირაკლი შოთაძემ დაპირება შეასრულა და, როგორც „ვერსიამ“ ვალერი გელაშვილთან საუბრისას გაარკვია, ორშაბათიდან, 3 თვის განმავლობაში მის უსაფრთხოებას სახელმწიფო დაცვის რამდენიმე წევრი უზრუნველყოფს. მართალია, გელაშვილი პირადი დაცვის გარეშე არავის გვინახავს, თუმცა როგორც ყოფილი ბიზნესმენი აცხადებს, პარლამენტში შესვლის შემდეგ კერძო დაცვაზე უარი თქვა. პრინციპში, გელაშვილს ყველაზე უკეთ ახლა სადეპუტატო მანდატი იცავს, მაგრამ ხაშურის მაჟორიტარი სახელმწიფოსგან მაინც დამატებით გარანტიებს ითხოვს.

— სახელმწიფო დაცვას იმის გამო ვითხოვ, რომ ჩემზე თავდასხმაში მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ, რომლებსაც ასევე ჰყავდათ თავიანთი შემსრულებლები. ჯერ ზუსტად არ ვიცით, ისინი ვინ არიან, მაგრამ შეიძლება ქალაქში თავისუფლად დადიან. ჯერ არც გამოძიება დასრულებულა, ამიტომ ჩემივე უსაფრთხოებისთვის, პირადი დაცვა მოვითხოვე.

— დაცვის გარეშე არც მინახიხართ და რად გინდოდათ მაინცდამაინც სახელმწიფო დაცვა?

— დაცვა ნამდვილად მყავდა, მაგრამ მას მერე, რაც დეპუტატი გავხდი და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, წელიწადნახევარია, დაცვით აღარ დავდივარ. პირადი დაცვა, რომელიც მე დავიქირავე, სახელმწიფო დაცვის დონის მაინც არ არის. პოლიციის დაცვის სამსახური უფრო სხვა გარანტიებს გაძლევს. ჩემი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხელშეკრულება გაფორმებული მაქვს და ბიჭები ჩემს დაცვას უკვე ორშაბათიდან შეუდგებიან.

— რამდენი ადამიანი დაგიცავთ და რამდენი ხნით?

— დაცვის წევრთა რაოდენობა ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ, ირაკლი შოთაძემ, ჯერჯერობით, ჩემი დაცვის 3-თვიანი დადგენილება გამოიტანა.

— კონკრეტული ინფორმაცია, მუქარის ზარები, წერილები... მიიღეთ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ?

— საქმე ისაა, რომ 2005 წელს, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როცა თავს დამესხნენ, ჩემი მისამართით არანაირი მუქარა არ ყოფილა. როცა გელაპარაკებიან და რაღაცას გეუბნებიან, თუნდაც მუქარით, საფრთხე ყოველთვის ნაკლებია, ხოლო როცა ხმას არ იღებენ — მეტი.

— ანუ დაცვა იმიტომ მოითხოვეთ, რომ არავინ გემუქრებათ?

— ყველაზე საშიში სწორედ ეს ვითარებაა, როცა ხმას არავინ იღებს! საქმე გაიხსნა და საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები დადანაშაულდნენ, მათ ბრალი უკვე ღიად წაუყენეს და ვფიქრობ, ვიდრე არ დაიჭერენ, საშიშროება ყოველთვის იარსებებს. მარტო კოდუასა და სირაძეს კი არა, სხვა პირებსაც ვგულისხმობ, რომელთაც ეშინიათ, ბრალი მათაც არ წაუყენონ. ვიდრე ეს საქმე არ დასრულდება, ისინი ჩემ მიმართ ყოველთვის აგრესიულად იქნებიან განწყობილნი. ადამიანი, რომელსაც 14 წლამდე პატიმრობა ემუქრება, შეიძლება, ყველაფერზე წავიდეს.

— გამოდის, ქალაქში მოსიარულე „ნოშიკოებს“ უფრთხით?

— ეგეთები პროვოკაციას კი არ მოაწყობენ, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ, ასე რომ, ეს სულ სხვა თემაა. მიუხედავად იმისა, რაც ნაციონალებმა გამიკეთეს, 9 წელი ისე ვიარე ამ ქალაქში, ხელი არავისზე ამიწევია და ხმამაღალი სიტყვა არავისთვის მითქვამს — საქმის გახსნას მოთმინებით ველოდი, ამიტომ ანგარიშსწორება ცოტა არასერიოზულად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ეს ქვის ხანის პერიოდის ქცევაა!

— იქნებ, თქვენს ფინანსებს აზღვევთ — 2005 წელსაც მანქანიდან თანხა არ გაიტაცეს?

— ახლა მაგდაგვარი არაფერი ხდება. ჩემ მიმართ პროვოკაცია არ იქნება. სახელმწიფო დაცვა მუშაობს, სხვანაირი კონტროლი მიდის, იქ ხომ მარტო რამდენიმე ბიჭი არ გამომყვება, მთელი სისტემა იქნება ჩართული.

— ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, უბრალოდ თავს იზღვევთ?

— ჩემი თავი ჯერ იმქვეყნად წასასვლელად არ მემეტება. თავს მოსალოდნელი თავდასხმისგან ვიცავ. ახლა ვიცი, მომავალი ორშაბათიდან, სამი თვე, დაცვა მეყოლება და მერე ვნახოთ, თუ საქმე დაიხურა და სააკაშვილს კამერაში ჩასვამენ, დაცვას მომიხსნიან.

— ვიდრე სააკაშვილს არ დაიჭერენ, დაცვით უნდა იაროთ?

— მთავარი მოქმედი პირი და ბრძანების გამცემი სწორედ მიხეილ სააკაშვილია.

რა კავშირი აქვს ნაციონალურ მოძრაობას, „რუსთავი2“-სა და NDI-ს

გიორგი იაშვილი

ნაციონალური მოძრაობის, „რუსთავი2“-ისა და NDI-ს ტრიომ საინფორმაციო კონცერტების ახალი სეზონი გახსნა, თუმცა რეპერტუარის ფორმა მცირედით შეიცვალა. ამ სამი, თითქოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უწყების დაკავშირების გონივრულ ეჭვს ბევრი ფაქტორი იწვევს და სწორედ ამაზე მინდა დაგაფიქროთ.

ნაციონალების მმართველობის პერიოდში კონცერტი შემდეგი პროგრამით იმართებოდა: ლუის ნავარო და NDI გამოაქვეყნებდა კვლევას, რომლის თანახმადაც, ნაციონალურ მოძრაობას ქვეყანაში ალტერნატივა და კონკურენტი არ ჰყავდა. ამას ლამაზად შეფუთავდა „რუსთავი 2“ (სხვათაშორის, „იმედიც“ და საზოგადოებრივი მაუწყებელიც), რაზეც კომენტარს აკეთებდა ნაციონალური მოძრაობა — აგერ, თქვენ, ჩვენგან ნაბეგვ-დატერორებული ხალხი გვიჭერთ მხარსო, შემდეგ ინგლისურად თარგმნიდნენ რეპორტებს და მსოფლიოს ეუბნებოდნენ NDI-ს კვლევებით, საქართველოს მოსახლეობა „ზილინას“ მღერის დემოკრატიის შუქურის გარშემოო.

ამჯერად კონცერტში გამხსნელი როლი „რუსთავი 2“-მა იკისრა. ამ არხის დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ თურმე ტელეკომპანიის ოფისს ფარული კამერებით უთვალთვალებს ხელისუფლება, თუმცა თვალთვალის ვერსია ლოგიკიდან ამოვარდება, თუ მაყურებელი დასვამს კითხვას — რაში დასჭირდა ტელეარხს ამ „სკანდალის“ გახმაურება?

ერთ-ერთი პასუხი კი ასეთია — „რუსთავი 2“-ს მაყურებელი და, შესაბამისად, გავლენა აკლდება, რაც აშფოთებს ნაციონალურ მოძრაობას.

ამავე კონტექსტში ჯდება კიდევ ერთი ფაქტი — ნიკა გვარამიას ბრიფინგამდე ერთი დღით ადრე, 5 მაისს, NDI-მ გამოაქვეყნა ერთი საინტერესო კვლევა, სადაც ზოგადპოლიტიკური კითხვის (უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას) გვერდით დასმული იყო ძალიან უჩვეულო კითხვაც: **„მხარს უჭერთ თუ არა სამართლიანი არჩევნების, საერთაშორისო გამჭვირვალობის და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივ კამპანიას „ეს შენ გეხება“?** და, როგორ ფიქრობთ, საქართველოს მოსახლეობის რა პროცენტი უჭერს მხარს ამ კამპანიას? აი, NDI-ს დასკვნით, თურმე მოსახლეობის 45% არა მხოლოდ იცნობს, არამედ მხარსაც უჭერს ამ კამპანიას და აქვე კითხვა — რა შუაშია „ეს შენ გეხება“ რუსთავი 2-თან? კამპანიის მიზანია, აიკრძალოს უკანონო მოსმენა და თვალთვალი. ამ კვლევიდან მეორე დღეს კი „რუსთავი 2“ აცხადებს — მითვალთვალებენო. ამას დაუმატეთ ნაციონალური მოძრაობის მოთქმა — ხელისუფლება გვდევნისო და მთელი სურათი დაიხატება. NDI-ის, „რუსთავი 2“-ისა და ნაციონალური მოძრაობის ტრიო სამ ხმაში აცხადებს — ახალი ხელისუფლება ოპონენტებს უთვალთვალებს და თან მოსახლეობის 45% ამას აკრიტიკებს იმით, რომ კამპანიას „ეს შენ გეხება” უჭერს მხარს.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ, როგორც სააკაშვილის პერიოდში, ამჯერადაც NDI მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით და თავს ახვევს საკუთარ პოზიციას. ფაქტია, NDI-ს აშფოთებს „რუსთავი 2“-ის პრობლემური რეპუტაცია, მოსახლეობის მინიმუმ ნახევარი, მას ნაციონალური მოძრაობის რუპორად მიიჩნევს და, შესაბამისად, არც ენდობა. ამ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლება არათუ უთვალთვალებს, საერთოდ არ ცდილობს, რაიმე გავლენა მოახდინოს ამ ნაციონალურ რუპორზე, „რუსთავი 2“-საც უწევს მუშაობა სკანდალების გარეშე, არავინ არბევს, არავინ ახოხიალებს იატაკზე, არავინ ურტყამს ხელკეტებს, შესაბამისად, როგორც ჩანს, არ არის ის ინტრიგა, რომელიც საზოგადოების ყურადღებას „რუსთავი 2“-ზე გადაიტანდა. ამიტომაც გამოსავალი თავადვე მოძებნეს. NDI-მ უპრობლემოდ ჩასვა კითხვარში მოსახლეობის უმრავლესობისთვის საერთოდ უცნობი თემა — კამპანია „ეს შენ გეხება“, დაუწერა 45% და მეორე დღეს ტრიბუნა დაუთმო „რუსთავი 2“-ს, როგორც სახელისუფლო თვალთვალის მსხვერპლს.

გამოძიება დაიწყო. გაჩნდა უამრავი უპასუხო კითხვა და გონივრული ეჭვი, რომელზეც არხის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით პასუხი არ აქვს. მაგალითად — როდის და როგორ მოახერხებდა ხელისუფლება მაღალტექნიკური სათვალთვალო აპარატურის დამონტაჟებას „რუსთავი 2“-ის შენობაში? ამაზე ნაციონალური მოძრაობის კულისებიდან გაჩნდა პასუხი — გასული წლის ოქტომბერში „რუსთავი 2“-ის შენობიდან ევაკუაცია რომ მოხდა, მაშინ დაამონტაჟესო. თუმცა ნაციონალების ვერსია ვერ მოერგო „რუსთავი 2“-ის ვერსიას, რადგან ტელეარხის ფარული მოსმენის კადრები დათარიღებულია 2013 წლის ივნისით, ევაკუაცია კი ოქტომბერში მოხდა. სკანდალის აგორებისა და ყურადღების მიქცევის გეგმა, როგორც ჩანს, ნაჩქარევი იყო და დიდი ალბათობაა, მათთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღოს. ასე რომ, თუ NDI-ში ვინმე ფიქრობს, ამ ორგანიზაციის ყოფილი თანამშრომლების, ლევან თარხნიშვილისა და თინათინ ბოკუჩავას მსგავსად, ნაციონალური მოძრაობა ერთგული სამსახურისთვის მათაც ჩასვამს საარჩევნო სიაში, ჯერ ზეიმი ადრეა, მით უმეტეს დღეს, როცა ნაციონალური მოძრაობის ოქროს ხანა დასრულდა და პარტიული კრიზისი სახეზეა.

პირველი პრეზიდენტის ოჯახის წინაშე არსებულ სახელმწიფო ვალდებულებას სპეციალური კომისია შეისწავლის

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადების საფუძველზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე იქნება.

ასევე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი იქნებიან.

ამასთან, პრემიერის ბრძანების თანახმად, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც უნდა მიიღოს.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ 2 აპრილს ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა და მისი ოჯახის წინაშე არსებული სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულების საკითხის შესწავლა მოსთხოვა.

„პირველი“

სამხედრო ფორმის უკანონოდ ტარება დაისჯება

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება ადმინისტრაციული წესით დასჯადი ქმედება იქნება. შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა და განსახილველად პარლამენტს წარუდგინა.

პროექტის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ემატება ახალი მუხლი, რომლის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება 200-ლარით დაჯარიმდება.

„ინტერპრესნიუსი“

ევროკომისია საქართველოს 30 მილიონ ევროს გამოუყოფს

ევროკომისია საქართველოსა და მოლდოვას დახმარების სახით დამატებით 30-30 მილიონ ევროს გამოუყოფს. დახმარების პაკეტი მიმართულია საჯარო ინსტიტუციების, მოქალაქეთა და ბიზნესის დასახმარებლად, რათა მათ ისარგებლონ იმ ბენეფიტებითა და შესაძლებლობებით, რასაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს, ევროკავშირის ბაზარზე წვდომის ჩათვლით. გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის, შტეფან ფულეს განმარტებით: **„საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ურთიერთობების შეცვლის ერთგულნი რჩებიან, ერთობლივად გაზიარებულ ფუნდამენტურ ფასეულობებზე დაყრდნობით. ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმება ამ ცვლილებებს შესაძლებელს გახდის და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების თვალსაზრისით ახალ პერსპექტივებს გახსნის. ჩვენი დახმარება კი ამ პროცესის აკომპანირებას მომავალშიც გააგრძელებს“.**

„ინტერპრესნიუსი“

კონსტანტინე გამსახურდიას სკანდალური პროგნოზები

„შესაძლოა ნავთობსადენის ნაწილი ე.წ. სახელმწიფო საზღვრის მეორე მხარეს აღმოჩნდეს“

ირუსუდან შელია
557-100-768

უკრაინაში კვლავ დაძაბული ვითარებაა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსადრე ტურჩინოვი ანტიტერორისტული ოპერაციის დასრულებას დასახული მიზნის მიღწევამდე არ აპირებს, დასავლეთში კი რუსეთს ოფიციალურ მოწინააღმდეგედ განიხილავენ — ნატო რუსეთის საზღვართან იწყებს ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნას სახელწოდებით — „საგაზაფხულო შტორმი“. მასში ალიანსისა და მისი მოკავშირეების სამხედროთა რეკორდული რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას. რამდენად დაცულია საქართველოს უსაფრთხოება უკრაინის მოვლენების ფონზე და რა სცენარით განვითარდება მოვლენები? „ვერსიას“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, დიპლომატი კონსტანტინე გამსახურდია ესაუბრა.

— უკრაინაში მიმდინარე პროცესები „ევრომაიდნის“ გაგრძელებაა. რუსეთი ფიქრობდა, მისი მარიონეტი იანუკოვიჩი ხელისუფლებაში დარჩენას მოახერხებდა, თუმცა, როცა მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა და იანუკოვიჩი რუსეთში გადაბარგდა, აგრესიული სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ამ ფონზე, დასავლეთის პოლიტიკური მდგომარეობაც უნდა გავითვალისწინოთ, რომელიც იოლად, ერთი ხელის მოსმით, ატომურ სახელმწიფოსთან ომს ვერ გამოაცხადებს.

— სანამ დასავლეთი საკუთარ პოლიტიკურ მდგომარეობას აანალიზებდა, რუსეთმა აღმოსავლეთ უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა და, როგორც ჩანს, ამაზე შეჩერებას არ გეგმავს...

— ახლა რუსეთს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — 25 მაისს, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩაშალოს, რის შემდეგაც არალეგიტიმურ ხელისუფლებაზე საუბრის შესაძლებლობა მიეცემა. რუსეთი ფიქრობს, მსგავსი მეთოდით ინტერვენციის გასაფართოებლად ხელ-ფეხი გაეხსნება. დიდი ხანია აღმოსავლეთ უკრაინაში არაფორმალური წარმომადგენლები, ე.წ. მწვანე კაცუნებიც შეგზავნილი ჰყავს. სხვათა შორის, პუტინმა აღიარა, რომ ისინი რუსეთის სამხედრო ძალების ნაწილებს წარმოადგენენ. ზოგადად, სადაც „მწვანე კაცუნები“ ჩნდებიან, დივერსიები და სახელმწიფო ბლოკების იძულებით დაკავება გარანტირებულია.

— თქვენი პროგნოზი როგორია — რუსეთი უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლას მოახერხებს?

— რუსეთს მიზნის მიღწევა გაუჭირდება, რადგან უკრაინელი ხალხი მზადაა, ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს. მართალია, აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებში, ძირითადად, საბჭოთა კავშირის დროს ჩასახლებული რუსები ცხოვრობენ, რომლებიც მეტწილად, მუშებისა და პატიმრების შთამომავლები არიან, მაგრამ სოფლებში 90% უკრაინელია. შესაბამისად, რუსეთს დასაყრდენი მხოლოდ სლავიანკსში, ლუგანსკსა და დონეცკში აქვს.

— სლავიანსკში ამერიკელი ჟურნალისტი გაიტაცეს, რამდენიმე ადამიანი კი ანტიტერორისტულ ოპერაციას ემსხვერპლა. ამასობაში, ნატო-მ რუსეთის საზღვართან ფართომასშტაბიანი წვრთნა დაიწყო. ეს უკვე დასავლეთსა და რუსეთს შორის მასშტაბური ომის დაწყების ნიშნებია თუ ნატო ფრთხილი ნაბიჯებით მოწინააღმდეგის შეშინების პოლიტიკას აგრძელებს?

— ესკალაციის პროცესი დიდი ხანია დაწყებულია. არა მგონია, დასავლეთი უკრაინაში რაიმეს დათმობას გეგმავდეს, მაგრამ, თუ იძულებული გახდა და სხვა გზა არ დარჩა, შესაძლოა, კომპრომისზეც წავიდეს. თუ დასავლეთი ნახავს, რომ უკრაინელი ხალხი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის გულწრფელად იბრძვის, დაეხმარება.

— უკრაინა უკვე რამდენიმე თვეა იბრძვის რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ.

— თითქოს ასეა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ იბრძვიან, მიუხედავად ამისა, დასავლეთისგან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნატო უკრაინაში ჯარს პირდაპირ ვერ შეიყვანს, არც სანქციებია დასჯის ეფექტური მექანიზმი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის წინააღმდეგ ეს აუცილებლად იმუშავებს. მაინც ვფიქრობ, უკრაინის კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს და მოლაპარაკებით დასრულდეს, როგორც ეს ჟენევაში მოხდა. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, რუსულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი გოჩა ბახია, მერაბ კოსტავას სახლის ეზოში, გვარდიის ვეტერანებს უკრაინაში გასამგზავრებლად აგროვებს; იმასაც აცხადებენ, რომ ისინი უკრაინის მხარეს იბრძოლებდნენ. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარვყოფ. ჯერ ერთი, გოჩა ბახია ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის უფროსი არასოდეს ყოფილა, დაცვის წევრი იყო და ზვიად გამსახურდიას გარემოცვიდან 1992 წლის მეორე ნახევარში გაქრა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი — მერაბ კოსტავას ეზოში შეიარაღებული პირები და ბოევიკები არასოდეს შეკრებილან. 1988 წლიდან მოყოლებული იქ მხოლოდ მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგის ორგანიზება ხდებოდა.

— ისე, დოდო გუგეშაშვილი არ მალავს, რომ უკრაინაში თავის თანამებრძოლებთან ერთად გამგზავრებას გეგმავს.

— დოდო გუგეშაშვილი „მხედრიონის“ წევრი იყო და მერაბ კოსტავას ეზოსთან შეხება არ აქვს. საერთოდ, ამ ადამიანზე საუბარი არ მინდა, საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხს ყველა თავად აგებს. მათი ქმედებებით რა შედეგს მივიღებთ, ვნახავთ.

— უკრაინის ფონზე, საქართველო რა საფრთხის წინაშე დგას, მით უმეტეს, როცა ე.წ. საზღვრიდან ქართველებს თითქმის ყოველდღე იტაცებენ, ხელისუფლება კი კვლავ თმენის რეჟიმშია?

— საქართველო, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. მით უმეტეს, როცა ე.წ. საზღვართან მავთულხლართების გავლებისა და „სახელმწიფო საზღვრის“ მარკირების პროცესი გრძელდება. მეტიც, თბილისი-გორის ავტომაგისტრალზე ერთი მონაკვეთია, სადაც მავთულხლართი დაახლოებით, 150 მეტრშია. ამბობენ, რომ, შესაძლოა, ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი რუსეთის მიერ მარკირებულ სახელმწიფო საზღვრის მეორე მხარეს აღმოჩნდეს. ხელისუფლებას ამ პროცესის საწინააღმდეგო ეფექტური მექანიზმი არ აქვს და აბაშიძე-კარასინის ფორმატის გამოყენებას ცდილობს.

— აბაშიძე-კარასინის რამდენიმეთვიანი უშედეგო დიალოგის გარდა, გიორგი მარგველაშვილისა და პუტინის შეხვედრაც დაანონსდა. პრეზიდენტების დიალოგი რეალურად რას შეცვლის?

— პოლიტიკაში საუბარი აუცილებელია, კლაუზევიცი წერდა: ომი პოლიტიკის სხვა საშუალებებით გაგრძელებაა, რომელიც ჩვენ ქვეყანას ამ ეტაპზე ნამდვილად არ სჭირდება, პოლიტიკური დიალოგიც შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მხოლოდ მაშინ დარეგულირდება, თუ მეზობელი ქვეყნის ნაწილი გავხდებით. საქართველოს ხელისუფლებას კი მტკიცე პოზიცია უნდა ჰქონდეს — დიალოგი ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის უნდა შედგეს. რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღიაროს. სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ ძლიერი მეხუთე კოლონა მუშაობს, თანაც, ჩვენი სახელმწიფო, უკრაინასთან შედარებით, ბევრად პატარაა და ჩვენ წინააღმდეგ რუსეთს გზაზე ნაკლები სირთულე შეხვდება. თუ დასავლეთი ჩვენ დაცვაზე ხელს აიღებს და რუსეთიც საზღვარს გადმოლახავს, უსაფრთხოების დაცვა გაგვიჭირდება, ამიტომ მოვლენების ყველანაირი განვითარებისთვის მზად უნდა ვიყოთ.

— მაინც არ აკონკრეტებთ — უკრაინის მოვლენების ფონზე, დასავლეთი საქართველოსთვის რეალური დახმარების გასაწევად მზადაა?

— შეიძლება ნატო-ს წევრი ვიყოთ, მაგრამ რუსეთმა ამ ფაქტორს ყურადღება არ მიაქციოს და საქართველოში შემოვიდეს, დასავლეთმა კი არ დაგვიცვას. ან პირიქით, შეიძლება ნატო-ს წევრი ქვეყანა არ ვიყოთ, რუსეთმა სამხედრო აგრესია აწარმოოს, დასავლეთმა კი მასთან პირდაპირი კონფრონტაცია დაიწყოს და ჩვენი დამოუკიდებლობა დაიცვას.

— ანუ მწარე რეალობაა, რომ საქართველოს მომავალი ორი ძალის განწყობაზეა დამოკიდებული? ისე, უკვე დაანონსდა, რომ საქართველოში შესაძლოა ნატო-ს პოლიგონი განლაგდეს.

— მთავარი დასავლეთის პოზიცია და ნებაა — რამდენად მზადაა დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტის დასაცავად. რაც შეეხება კავკასიაში ნატო-ს სამხედრო პოლიგონის განლაგებას, რუსეთს შეშინებული ქვეყნის რეაქცია სწორედ ამიტომ აქვს. მიაჩნია, რომ დასავლეთი რუსეთისთვის გავლენის ზონების ჩამორთმევას ცდილობს, რუსეთი კი საქართველოს, მხოლოდ გავლენის ზონად კი არა, მის ტერიტორიულ ნაწილადაც აღიქვამს. ზოგადად, რუსეთში ასეთი მიდგომა აქვთ — სადაც რუსი ჯარისკაცის სისხლი დაიღვარა, ყველგან რუსეთია, ამიტომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა აუცილებელია, ხელისუფლება კი, დეზორგანიზებული მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეს და ყველა საფრთხე კარგად აწონ-დაწონოს.

„გამორიცხული არ არის, ნაციონალებს სამი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერზეც ჰქონდეთ ფარული ჩანაწერები“

რა ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდის და რომელ სამ არასამთავრობოს ამხელს ნიკოლოზ მჟავანაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„სხვათა შორის, ამ განცხადების გაკეთება ჯერ კიდევ მაშინ მინდოდა, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროში ირაკლი ღარიბაშვილის ყოფნის დროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაგვიბარეს და წამების ამსახველი კადრები გვიჩვენეს. ამ ინფორმაციულ შეხვედრაზე, მახსოვს, რამდენიმე ადამიანი წამოდგა და იკითხა, ეს ჩვენ რატომ უნდა ვნახოთო?! მაშინ მართლა ლუსტრაცია მოხდა და რეალური სახე ყველამ გამოაჩინა“, — აცხადებს „უფლებათდამცველთა გაერთიანების“ ლიდერი ნიკოლოზ მჟავანაძე. როგორც თავად ამბობს, ამდენხნიანი დუმილი კოლეგიალობითაა განპირობებული, თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი აქვს და ნაციონალებთან შეკრული არასამთავრობოების დასახელება გადაწყვიტა. „ვერსიამ“ ნიკოლოზ მჟავანაძეს თავისუფალი ტრიბუნა სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ დაუთმო.

— „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში, ფარული მიყურადების საპროტესტო კამპანია დაიწყო. რაც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მოხდა, მიუღებელია, მაგრამ აქაც ბევრი კითხვაა. ეს შეიძლება იყოს როგორც უკანონო, ისე კანონიერი მოსმენა, ანდაც, ვიღაცების იმპროვიზაცია. ამას გამოძიება დაადგენს. არც იმას გამოვრიცხავ, ყველაფერი ნაციონალების გაკეთებული იყოს. ვინც ის 30 000 ფაილი შექმნა ამ 9 წლის განმავლობაში, არა მგონია, „რუსთავის 2“-ის მოსმენა გასჭირვებოდა. ასე რომ, გასარკვევია, საერთოდ როდის დამონტაჟდა ეს მოსასმენი აპარატები არხის შენობაში. ეს ხალხი, „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში ითხოვს შემდეგს: მობილური პულტი, რომლითაც მოსმენაზე კონტროლი უნდა განხორციელდეს, ოპერატორ კომპანიებს აქვთ, მათი თქმით, ეს პულტი შსს-ს კი არა, თავად ამ მობილური კომპანიების დაქვემდებარებაში უნდა იყოს. სასამართლოს ბრძანებით, ახლა ამ მოსმენებთან დაკავშირებით, ყველა საკითხს მობილური კომპანიები უზრუნველყოფენ. რა გარანტია გვაქვს, რომ კერძო კომპანიებიდან ინფორმაცია არ გაჟონავს?! ისინი ხომ სხვადასხვა ქვეყნებს წარმოადგენენ საქართველოში?! „ბილაინი“ რუსეთისაა, „ჯეოსელი“ თურქების, მერე შვედები შემოვიდნენ... ისიც ხომ შეიძლება, ეს კომპანიები გაიყიდოს და ახლა საერთოდ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა იყიდონ?! მოსმენები ხომ მარტო პოლიტიკოსებსა და მედიას არ ეხება! ხომ შეიძლება, უსმენდნენ თავად სპეცსამსახურების თანამშრომლებს, უშიშროებას... კითხვისნიშნის ქვეშ მთელი ქვეყნისა და სახელმწიფოს უსაფრთხოება დგება! ამან შეიძლება, ქვეყანას მართლა გამოუთხაროს ძირი. ისევ აჯობებს, ეს ინფორმაცია შს სამინისტრო ჰქონდეს, ვიდრე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ჩაუვარდეს ხელთ, ამიტომ ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას!

— დაარქვით მაშინ — როგორც ამბობთ, ინფორმაციამ შეიძლება, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებში გაჟონოს. ამას ქართული არასამთავრობო სექტორი რომ უწყობს ხელს, ვის საქმეს აკეთებს?

— როცა ეს არასამთავრობო ორგანიზაციები უშუალოდ საქართველოდან არ ფინანსდებიან და უცხოურ გრანტებს იღებენ, ნებით თუ უნებლიედ, მსგავსი ქმედებით ქვეყნის ნგრევას მართლა ხელს უწყობენ. არ ვამბობ, რომ ეს მათი პირდაპირი მისიაა, მაგრამ, როცა ქვეყანა მართლა ინგრეოდა, ისინი ხმას რატომ არ იღებდნენ? ესენი ხომ დიქტატორული რეჟიმის განმტკიცებას უწყობდნენ ხელს: „სამართლიანი არჩევნები“ არჩევნების გაყალბებაზე არაფერს ამბობდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უკანონო პატიმრებისა და ზოგადად, პატიმრების მდგომარეობაზე არ საუბრობდა. იცით, რა მოხდა, ერთი ორგანიზაცია ყველა გრანტს ვერ აითვისებდა, ამიტომ ერთი და იგივე ჯგუფიდან წამოსული ხალხით გაკეთდა საიაც, „საერთაშორისო გამჭვირვალობაცა“ და „სამართლიანი არჩევნებიც“ და ეს უზარმაზარი გრანტები ერთმანეთში დაინაწილეს. რეალურად, ეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქსელია! შეიძლება, არასამთავრობო ორგანიზაციამ მილიონნახევარი დოლარი ციხის მონიტორინგის პროგრამაში აიღოს და ციხეებში არსებულ ვითარებაზე ხმა არ ამოიღოს? ეს მათ არ ეხებოდა?! ბიზნესის რეკეტი, არჩევნების გაყალბება, პატიმრების წამება, ხალხის ქუჩაში ჩაცხრილვა არ ეხებოდა? მაშინ ეს ხალხი რეალურ დანაშაულზე კი არა, მხოლოდ კოსმეტიკაზე საუბრობდა.

— ეს რაზე მიანიშნებს?

— იმაზე, რომ ეს ორგანიზაციები მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის საქმეს აკეთებდნენ! სოროსის ფონდი, რომელიც ახლა ასე აღშფოთდა და „ეს შენ გეხებას“ კამპანია დააფინანსა, სად იყო მაშინ და რატომ არ აფინანსებდა იმ არასამთავრობოებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევაზე რეალურად საუბრობდნენ?! იმ დაფინანსების 5%, რომელიც ამ სამ არასამთავრობოს აქვს, სხვა დანარჩენებისთვის რომ დაენაწილებინათ, ურიგო არ იქნებოდა.

— და რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ?

— სიტყვის თავისუფლებას, რა თქმა უნდა, ვერავის აუკრძალავ, მაგრამ ხელისუფლებამ თავად უნდა შექმნას ისეთი გარემო ან, ვთქვათ, დააფინანსოს ისეთი ფონდი, რომელიც სახელმწიფოებრივ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსურად დაეხმარება. ის ფონდები, რომლებიც სააკაშვილის დროს გულუხვნი იყვნენ, სწორედ იმ არასამთავრობოებს აფინანსებდნენ, რომლებიც წინა ხელისუფლების ინტერესებს ატარებდნენ. უცხოელ სტუმრებს სააკაშვილთან ერთად ხვდებოდნენ და ისე საუბრობდნენ, თითქოს, ისინიც ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. ახლა, როცა ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნას ყველა დონეზე ამთავრებს და თავად პარტია გახდა სათრევი, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები გააქტიურდნენ და გამოგონილ თემებზე საუბრობენ — მაგალითად, მკვლელობების დაუსრულებელ ციკლზე, უკანონო დაჭერებსა და მოსმენებზე. როცა მილიონობით დაფინანსებას იღებ და ეს ფული ნებისმიერი პარტიის ფულზე უფრო მეტია, შენი ნამუშევრის შედეგიც უნდა წარმოადგინო! თუ გინდა გაიგო, რა განცხადებას გააკეთებენ ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია და კახა კოჟორიძე, 5 წუთით ადრე, გოკა გაბაშვილსა და გიგა ბოკერიას უნდა უსმინო — ეს არანორმალურია! ყველაზე ცუდი კი ისაა, ჩანს, თითქოს, მთელი სამოქალაქო სექტორის პოზიცია მხოლოდ ამ 3 არასამთავრობოს პოზიციას ემთხვევა, სამაგიეროდ, ვიცი, რომ ბევრ ორგანიზაციას ეროვნული პროგრამა აქვს, მაგრამ მათ პროექტებს არავინ აფინანსებს. საკუთარ მაგალითზე გეტყვით — ყველა პროცესში ჩართული ვარ და სხვადასხვა საკითხზე არაერთი ანგარიში მომიმზადებია, მაგრამ ჩვენთვის პირდაპირი ეთერი ყველგან დახურულია. კერძო ტელევიზიებს ვერაფერს აიძულებ, მაგრამ ამ უცხოურ ფონდებს ისინიც უწევენ გარკვეულ ანგარიშს. მედიის პოლიტიკას, გარკვეულწილად, ეს ფონდები ქმნიან... გამოსავალი მხოლოდ მხილებაა. ალბათ, ერთ-ერთი პირველი ვარ, ვინც საკუთარი კოლეგები ამხილა! არ გამოვრიცხავ, იმ 30 000 ფაილიდან, რომელიც ნაციონალების დროს შეიქმნა, მასალები ამ ორგანიზაციების ნევრებზეც არსებობდეს და ისინიც წინა ხელისუფლების მძევლები იყვნენ!

— კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ თუ უბრალოდ ეჭვობთ?

— მოტივი მხოლოდ გიჟის ქმედებებს არ აქვს, ასე რომ, შესაძლოა, ამ ორგანიზაციების დღევანდელი ასეთი ქცევის მოტივი ეს იყოს. ყველამ კარგად იცის, რომ მედიის წარმომადგენლებზეც არსებობს ფარული ჩანაწერები. მეეზოვეებზე კადრებს არავინ იღებს — ნაციონალები სწორედ საკუთარი გუნდისა და მხარდამჭერების კადრებს აგროვებდნენ, რათა კარგად გამოეჭირათ.

სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმას მთავრობა დაამტკიცებს

სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმას პრეზიდენტის ნაცვლად მთავრობა დაამტკიცებს. თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „მობილიზაციის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტს უკვე წარედგინა.

აღნიშნულ კანონთან ერთად, პარლამენტში შესულია „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ სრულიად ახალი კანონპროექტი, რომლითაც თავდაცვის სფეროში სხვადასხვა საკითხებთან ერთად რეგულირდება პარლამენტის, პრეზიდენტის, ეროვნული უშიშროების საბჭოს, მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 13,6450 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 11,3253 გრ ჰეროინს შეიცავს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ქურდობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში მცხოვრები მამა-შვილი, 1964 წელს დაბადებული სეირან ჰ. და 1989 წელს დაბადებული ვოლოდია ჰ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 25 აპრილს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკასთან ახლოს მდებარე მარაბდა-კარწახის მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალიდან 156 ცალი რელსის გადასაბმელი და სხვა მასალები მოიპარეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მოპარული სარკინიგზო მასალების საერთო ღირებულება დაახლოებით 6000 ლარს შეადგენს. სამართალდამცველებმა მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ვეტერანთა 71% უმუშევარია, დახმარებას არ იღებს და თავს გარიყულად გრძნობს

რა საკანონმდებლო ცვლილებების გატარებაა საჭირო ომის მონაწილეთა პრობლემების გადასაჭრელად

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობის ერთ-ერთი ინდიკატორია, როგორ ეპყრობა ხელისუფლება ომის ვეტერანებს. ეს თვალსაჩინო მაგალითია მომავალი თაობისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ომის მონაწილეები სიღატაკეში ცხოვრობენ და თავს საზოგადოებისგან გარიყულად მიიჩნევენ. მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეალური პროგრამა კარგა ხანია არ განხორციელებულა. წელს, „შეიარაღებული ძალების ვეტერანთა დაცვის შესახებ“ კანონიდან ამოიღეს მუხლი, რომელიც ვეტერანთა სოციალურ დახმარებას უზრუნველყოფდა.

სამშობლოს წინაშე დამსახურებულ ადამიანებს განსაკუთრებით რეგიონებში უჭირთ, რაც ჩატარებული კვლევებიდანაც ჩანს. თელავის რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თანადამფუძნებელის, **ალიკა ტალიურის** განმარტებით: **„ვეტერანებს არაერთი პრობლემა აქვთ. უმთავრესი კი მათ მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების არაჯეროვანი დამოკიდებულებაა. სამედიცინო და მორალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია; ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სამხედრო ჰოსპიტლის, სარეაბილიტაციო და პოლიკლინიკის მომსახურება; პროფესიული რეკვალიფიკაცია, დასაქმება და რესოციალიზაცია; ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ გადაადგილება — ეს ის საკითხებია, რომლებიც ვეტერანებს აწუხებთ. პირველ ეტაპზე, ხელისუფლებამ გაუქმებული სუბსიდიები უნდა აღადგინოს. სუბსიდიები უნდა დაენიშნოთ იმ ვეტერანებსაც, რომლებსაც დახმარების მიცემაზე ექსპრემიერ ნიკა გილაურის 2009 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით ეთქვათ უარი. გილაურის ამ გადაწყვეტილებით, 22-ლარიანი ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდია შეუჩერდათ პირებს, რომლებსაც ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი, თუმცა შემდეგ სასამართლომ გაამართლა. ამ დახმარების გარეშე დარჩნენ ისინიც, ვინც სამ თვეზე მეტხანს იყო გასული საზღვარგარეთ, ან უბრალოდ, სამი თვე არ აკითხავდა ბანკომატს, რათა რამდენიმე თვის დახმარება ერთად აეღოთ. ამავე აქტის საფუძველზე დახმარებაზე უარი ეთქვათ იმ პირებსაც, რომლებმაც ომის ვეტერანის სტატუსი 2009 წლის 5 ნოემბრის შემდეგ მიიღეს“.**

პრობლემების პარალელურად, ბოლო პერიოდში, ვეტერანების საკითხს ხელისუფლება თითქოს ყურადღებას აქცევს — პენსიები გაიზარდა, გარდაცვლილ მეომართა ოჯახებს ერთჯერადი დახმარება დაენიშნათ... ალიკა ტალიურის პოზიცია ასეთია: **„ახალი ხელისუფლების რამდენიმე ინიციატივა ვეტერანებს მოეწონათ. ნაწილს პენსიები მოემატა, მაგრამ ესაა კატეგორია, ვისაც 25-წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს და პენსიაზე ასაკიდან გამომდინარე გავიდა. ეს საკანონმდებლო ცვლილებები ძირითადად საბჭოთა კავშირის დროს ძალოვან სტრუქტურებში ნამსახურებ პირებს ეხება. კარგი იქნებოდა, სხვა ვეტერანებისთვისაც იყოს გათვალისწინებული მსგავსი შეღავათები. დაწესდა ერთჯერადი ფულადი დახმარება საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრებისთვის. ვეტერანთა შესახებ კანონმდებლობით, მათ ეკუთვნის შეღავათები ბიზნესსაქმიანობის დროს, თუმცა საგადასახადო დებულებებში ეს საკითხი არაა გათვალისწინებული ანუ კანონი არ მუშაობს. ერთ-ერთი ძირეული საკითხი ვეტერანთა სტატუსის მინიჭებაა — შეიარაღებულ კონფლიქტებში, პრაქტიკულად, უსტატუსოდ მონაწილეობდნენ სამხედრო ნაწილებში გაუფორმებელი სამოქალაქო პირები. კონფლიქტების დასრულების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მათ შესახებ არანაირი საბუთი არ არსებობდა, რის გამოც სამხედრო პირების საკმაო რაოდენობა ვეტერანის სტატუსის გარეშე დარჩა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაცია დაიწყო. პროცესი, რაიონებში, ადგილებზე უნდა წარმართულიყო, მაგრამ შემდგომ, თავდაცვის სამინისტროში შექმნეს სარეგისტრაციო კომისია და თითოეულ ვეტერანს რამდენიმეჯერ მოუწია თბილისში ჩასვლა. ამან მათი უკმაყოფილება გამოიწვია და საბოლოოდ, საქმე არ გაკეთდა. გამოსავალი ისაა, ვეტერანთა მოძრაობა უფრო ორგანიზებული, სოლიდარული და მიზანდასახული გახდეს. ვეტერანების პრობლემატიკის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად უნდა ჩაებას როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე საპარლამენტო და სამთავრობო ინსტიტუტები. წელს ამ მიმართულებით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, მაგრამ აუცილებელია, ცვლილებები კანონმდებლობის დონეზე გამყარდეს. „საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ არის დისკრიმინაციული ვეტერანთა მიმართ და აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება“.**

„გენერალთა კლუბმა“ საქართველოს 11 რეგიონში 2 300-მდე ვეტერანი გამოკითხა. კვლევის ეფექტურად განხორციელებისთვის და ვეტერანთა ადგილსამყოფლის დასადგენად ორგანიზაციამ თითოეულ რეგიონში საინიციატივო ჯგუფები ჩამოაყალიბა. დადგინდა, რომ ვეტერანთა 71% უმუშევარია, მთავრობისგან არანაირ დახმარებას არ იღებს და თავს საზოგადოებისაგან გარიყულად მიიჩნევს. 70%-ს თვეში 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, 26% კი სოციალურად დაუცველია, თუმცა უმრავლესობა ვერ სარგებლობს სახელმწიფო დაზღვევით, საგანმანათლებლო ან სხვა სოციალური დახმარების პროგრამით. „გენერალთა კლუბმა“ მთავრობას პრობლემების გადასაჭრელად საჭირო რეკომენდაციები წარუდგინა. მათი აზრით, აუცილებელია, გაიზარდოს ვეტერანთა პენსია, გადაიხედოს ჯანდაცვის პროგრამა და შეიქმნას ვეტერანთა დასაქმების სპეციალური პროგრამები.

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

დეზერტირების ბაზარში ხალხის სიჭრელის მიუხედავად, ყოფით ცხოვრებაზე ერთიმეორესგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს ძნელად თუ იპოვით. რა პრეტენზიები აქვთ მოვაჭრეებს მთავრობის მიმართ და რატომ არ იციან, რომელ ძალას დაუჭირონ მხარი მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე? „ვერსია“ „დეზერტირების ბაზრიდან“ სპეციალურ რეპორტაჟს გთავაზობთ.

„წინა მთავრობა ხომ უვარგისი იყო და ესენი უარესები გამოდგნენ“

რა პრეტენზიები აქვთ მოვაჭრეებს ხელისუფლებასთან

— უარესობისკენ შეიცვალა ყველაფერი, — ძალიან ბრაზობდა ქალბატონი, რომელიც, წუთის წინ ამაოდ ცდილობდა, კლიენტისთვის კიტრი და პომიდორი მიესაღებინა, — **ყელში გვაქვს გაჭირვება და პრობლემები. ისეთი აგრესიული ვარ, ლაპარაკიც არ მინდა. დაქცეულები ვართ, ყველაფერი გაძვირდა. ხალხს ფული არ აქვს და რა იყიდოს? კატასტროფული მდგომარეობაა, ბანკებმა ამოგვხადა სული. ვერც ვალს ვისტუმრებ, სახლშიც „კაპიკი“ ვერ მიმაქვს. ამათ გამო ვენები გადავიჭერით და სიკეთე არ არის. მთავრობამ ხალხზე უნდა იფიქროს. რაში მაინტერესებს, მილიონები ვინ შეჭამა. არანაირი დახმარება, პენსია არ მეძლევა, ხელფასი არ გვაქვს, ესაა ცხოვრება? ადამიანს რომ ასე უხვად დაუყრი დაპირებებს, ერთი-ორი მაინც შეუსრულე, კაცო. აღარავისი მჯერა. არჩევნებზე აუცილებლად წავალ, მაგრამ რას ვიზამ, არ ვიცი. უკვე ისე ვართ გამწარებულები, ვფიქრობ — ის ძველი მთავრობა ხომ უვარგისი იყო და ესენი უარესები გამოდგნენ. ტელევიზორს რომ ვუყურებ, დამტვრევის სურვილი მიჩნდება. წინა პრეზიდენტს გიჟს რომ ეძახდნენ, იმის დროს წესრიგი მაინც იყო. ახლა ვინ ჩაგარტყამს თავში, კაცმა არ იცის. არავის სკამს არ ვიცავ. ელემენტარულ დახმარებას ვითხოვ გლეხებისთვის.**

არანაკლებ აგრესიულები იყვნენ ფასებით უკმაყოფილო მოქალაქეები. ჩამოთვლასაც კი აზრი არ აქვს, ბაზარში ყველაფერს ერთნაირად უკიდია ცეცხლიო, ბუზღუნებდნენ. ჩვენი რა ბრალია, გაყიდული პროდუქტიდან თითქმის არაფერი გვრჩებაო, — პასუხი მზად ჰქონდათ მოვაჭრეებსაც.

— გგონიათ, მარტო მაღალი ფასებია ჩვენი პრობლემა? ნახეთ, აქაურობა რას ჰგავს. უწინ, დახლებზე ყველაფერი ლამაზად ეწყო, — საუბარი არ გააცია ხანშესულმა, მთასავით კაცმა, — **გაგონილა? წყალი არ არის ამხელა ბაზარში. ადრე 4 ადგილას მოჩუხჩუხებდა. ახლა, ოღონდ გაზიანი სასმელი გაასაღონ, სხვა არაფერზე ფიქრობენ. დაანგრიეს აქაურობა, უნდა გავარემონტოთო და სულ მოსპეს. დღეში 1 ტომარა კარტოფილიც რომ ვერ გავყიდო, მაინც 25 ლარის გადახდა მიწევს — მერიამ დააწესაო, ამბობენ. აღარ ვიცი, არჩევნებზე ვის მივცე ხმა. ვინ უნდა ავირჩიოთ — ყაჩაღები და ქურდები?**

გორელი მოვაჭრეები ერთად ჩამწკრივებულან და სხვადასხვა ჯიშის ვაშლს ყიდიან. როგორც აღმოჩნდა, აღარც „ვაშლის ბიზნესი“ ყვავის ჩვენ ქვეყანაში.

— დილიდან საღამომდე აქ ვდგავართ, იმედით, რომ აზერბაიჯანელები მოვლენ და ერთ ყუთ ვაშლს წაიღებენ. მთელი ბაზარი თურქული ვაშლითაა გადაჭედილი. საბაჟოზე, ვაშლით დატვირთულ თითო მანქანაში 12 000 ლარს იღებენ, თვითონ ჭამენ და ხალხი ფეხებზე კიდიათ. ეს თურქული ვაშლი მეტად ძვირია. გემოთი ჩვენი ჯობია, მაგრამ შესახედად, თურქულს წუნს ვერ დაუდებ. მყიდველიც ტყუვდება და იმას ყიდულობს. ჩემი აზრით, სანამ ქართული ვაშლი არ მოილევა, სხვა ქვეყნის არ უნდა შემოიტანონ. მოსავალს ვერ ვასაღებთ.

— არ გიცდიათ ვაშლი ხილის გადამამუშავებელ ქარხნებში ჩაგებარებინათ?

— ქარხნები კილო ვაშლს 5 თეთრად იბარებენ და ფულსაც სრულად არ გაძლევენ... არ ვიცი, რა გვეშველება. იქნებ რუსეთის ბაზარი ბოლომდე გაიხსნას და ვაშლის გატანა იქ შევძლოთ.

— არც ეგაა გამოსავალი, — სინანულით თქვა ვაშლის მეორე გამყიდველმა, — რუსეთში რომ გაიტანო, კარგი ბაღი უნდა გქონდეს, რასაც ფინანსები სჭირდება. აგერ, თურქეთმა უვადო კრედიტი გასცა, ჩვენთან კი, ბანკების გადამკიდე, სოფელში ყველა მეორე ჭიშკარს აწერია — „იყიდება სახლი“. ივანიშვილი პოლიტიკაში რომ მოვიდა, დაგვპირდა, გეშველებათო და უარესობისკენ წავედით. ეგაა საქმე? შარშან, ერთი ყუთი ვაშლი 40 ლარი ღირდა. გასავალიც მეტი ჰქონდა, წელს 15 ლარზეა ჩამოსული და აღარც იყიდება.

— ბაზარში ყველაფერი გაძვირდაო და ვაშლი გაიაფდა?

— მთავრობას რაც აწყობდა, ის გააძვირეს. სოფლის პროდუქტი არ გაძვირებულა. მოკლედ, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველა საკუთარ კარიერას იკეთებს. ჩვენთან რაიონში, გამგებლობის ერთ-ერთმა კანდიდატმა გვითხრა, ხალხო, ხმა მომეციათო. რომ აგირჩიოთ, რამე თუ გვეშველება-თქო, რომ ვკითხეთ, თქვენი არ ვიცი და მე ნამდვილად მეშველებაო, გვიპასუხა.

— გამგებლების გარდა, ქალაქ გორის მერის არჩევაც მოგიწევთ. ქალაქის მმართველობას ვის ანდობთ? ირაკლი ოქრუაშვილმაც შემოგთავაზათ კანდიდატად თავისი კაცი.

— ეგ თუ რამეს მოიწადინებს, მთელი გორი გვერდით დაუდგება. საქმიანი ბიჭია და გვჯერა, რაღაცას მაინც გააკეთებს. ჩვენ რეგიონს მაგაზე წესიერი და კაცური კაცი ჯერ არ ჰყოლია, იმიტომაც მოიშორეს თავიდან. სიმართლისმთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, ხომ გსმენიათ. არ ვაპირებდი არჩევნებზე წასვლას, მაგრამ წავალ და ხმას ოქრუაშვილის მიერ დასახელებულ კანდიდატს მივცემ. აბა, ვინ უნდა ავირჩიოთ, ვინც გაიპარადა და ჩრდილში დაჯდა?

ბაზრიდან გამოსვლა დავაპირე, მაგრამ იქვე, კიბეზე ჩამომჯდარმა მემწვანილე ბებომ მიიქცია ჩემი ყურადღება. მგონი, ეს ერთადერთი იყო, ვისაც მუშტრის რიგი ედგა. წყალტუბოდან ვარო, გამიმხილა ნინა ბებომ, თან არ მოცდა — ქინძსა და ოხრახუშს მოზრდილ კონებად კრავდა. **„ჩემი შვილიშვილები სასწავლებლად რომ წამოვიდნენ, გამოვყევი. სახლში რა გამაჩერებს. ვმუშაობ და სტუდენტებს ფინანსურად ვეხმარები. ეს მწვანილი ქუთაისშია მოყვანილი და კარგადაც იყიდება“.**

— ასეა, ზაფხული მოდის და ხალხი ცდილობს, იოლად გავიდეს. მეტი რაღა დარჩენია, ბალახი უნდა ჭამოს, — ჩაილაპარაკა ახლოსმდგომმა, გაშურიანებულმა ყველის ვაჭარმა.

ბაზარი ისე დავტოვე, კმაყოფილი არც ვაჭარი მინახავს, არც მყიდველი. სანამ ტრანსპორტში ჩავჯექი, კიდევ მესმოდა პოლიტიკაზე, აუხდენელ ოცნებებზე, იმედგაცრუებაზე სჯა-ბაასი. **„ყველა მთავრობა ერთნაირია. ხალხისთვის არავინაა“,** — ბაზარში ამ ფრაზას ყველა ეთანხმებოდა.

სუდოკუმანია

ადვილი

	6							7
				3			5	
	4	3	9				8	6
9	5		2					
		4		1		8		
					4		7	9
4	7				6	2	1	
	1			4				
8							4	

სტანდარტი

	4		9	3		7		
9						3	2	1
		3			7			
	6				3			9
1				2				7
8			7				3	
			4			6		
3	9	2						5
		6		8	5		9	

რთული

	6	9					1	
				4				
8	1				9	5		
3				9	2			4
	9	8				3	5	
2			3	6				7
		6	9				2	5
				7				
	2					6	8	

ექსპერტი

3				7	4		1	
					5	8	2	
	8			1		7		
	3	8	5					2
2								6
7					1	5	8	
		3		8			9	
	9	2	7					
	7		9	4				8

მანქანის მართვის უჩვეულო წესები

ავტომობილის მართვის ყველაზე საინტერესო, უცნაური და ზოგჯერ შოკისმომგვრელი წესები მანქანების გაქირავების სააგენტომ Avis გამოაქვეყნა: აშშ-ში, კერძოდ კი კალიფორნიაში აკრძალულია მანქანის მართვა ხალათსა თუ პიჟამაში; ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში, დანიაში კანონი მოითხოვს, რომ ვიდრე საჭესთან დაჯდებით, მანამ შეამოწმოთ, ხომ არავინაა თქვენი მანქანის ქვეშ. ასევე ამ ქვეყანაში აუცილებელია, გამგზავრების წინ, შეამოწმოთ მუხრუჭი და საჭის მართვის გამართულობა. კვიპროსზე საჭესთან მჯდომს წყლის დალევაც კი ეკრძალება, რუსეთსა და რუმინეთში კი გასარეცხი ავტოთი მგზავრობაა აკრძალული.

პირენეებზე კანონი მოითხოვს, ვინც მანქანის მართვისას სათვალეს ხმარობს, აუცილებლად ჰქონდეს სათადარიგო სათვალეც, საბერძნეთში კიდევ უფრო შორს წავიდნენ — აქ საგზაო მოძრაობის ინსპექტორები სანომრე ნიშნებს აცლიან არასწორად გაჩერებულ მანქანებს. იტალიასა და რუსეთში კანონით, მძღოლმა მაშუქი არა მხოლოდ ღამით, არამედ დღისითაც უნდა აანთოს, თუ დასახლებულ პუნქტში არ იმყოფება, რათა უბედურ შემთხვევას თავი აარიდოს. ესპანეთის ზოგიერთ ქალაქში ავტომობილები კენტნომრიანი სახლების წინ თვის კენტ რიცხვებში უნდა იყოს გაჩერებული, ლუწ რიცხვებში კი — ლუწნომრიანი სახლების წინ. თუკი შემთხვევით ვენაში მოხვდებით, შეეცადეთ არ დაასიგნალოთ, ავსტრიის დედაქალაქში ეს კატეგორიულად აკრძალულია.

პორტფელი-უნიტაზი შექმნეს

ამ უჩვეულო გამოგონების ავტორები კომპანია Niban Too-ის თანამშრომლები არიან. დახურულ მდგომარეობაში ეს ჩვეულებრივი ტყავის პორტფელია, რომელიც 80 კგ-ს იწონის. წყალგაუმტარი დიპლომატი დამზადებულია მტკიცე, მაგრამ მსუბუქი ალუმინისგან, შიგნით კი მდებარეობს დასაჯდომი უჟანგავი ფოლადისგან, ჰერმეტული სახურავით. პორტფელში გათვალისწინებულია ასევე ტყავის პანელი, რომელშიც სხვადასხვა ნივთის ჩაწყობა შეიძლება, გვერდით მხარეს უნიტაზს მიმაგრებული აქვს ტუალეტის ქაღალდის რულონი. მწარმოებლები ურჩევენ მომავალ კლიენტებს, არ გადააჭარბონ მაქსიმალურ წონას და „პორტფელი“ დროულად გაათავისუფლონ ნარჩენებისგან.

სუმოისტთა მტირალა ბავშვები

იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ ტაძარში სანახაობითი კონკურსი გაიმართა პროფესიონალი სუმოისტებისა და ჩვილი ბავშვების მონაწილეობით. სუმოს მებრძოლებს „შესაჭიდებლად“ ორი პატარა გამოჰყავთ — რომელიც პირველი დაიწყებს ტირილს, გამარჯვებულადაც ის ითვლება. თუკი ჩვილები ტირილს ერთდროულად დაიწყებენ, რომელიც უფრო ხმამაღლა იყვირებს, უპირატესობასაც მას მიანიჭებენ. პირველად ასეთი შეჯიბრი 1993 წელს ჩატარდა, მაგრამ თავად ტრადიცია ოთხი საუკუნეა არსებობს. Baby-Cry Sumo-ს ორთაბრძოლაში მონაწილეობისთვის წლამდე ასაკის ბავშვები დაიშვებიან. ამომავალი მზის ქვეყანაში სჯერათ, რომ რაც უფრო ხმამაღლა ტირის პატარა, მით სწრაფად გაიზრდება და უფალიც მის მომავალს დალოცავს. თავდაპირველად, ეს ღონისძიება ჩაფიქრებული იყო, როგორც ლოცვა ჩვილების ჯანმრთელობისთვის.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	4	8	5	3	6	7	2	1
7	3	1	4	2	9	5	8	6
6	5	2	1	8	7	4	3	9
1	2	3	7	6	4	9	5	8
5	9	7	8	1	3	6	4	2
8	6	4	9	5	2	1	7	3
4	1	5	2	9	8	3	6	7
3	8	9	6	7	5	2	1	4
2	7	6	3	4	1	8	9	5

სტანდარტი

2	9	7	6	5	4	1	8	3
1	6	8	3	2	7	5	4	9
5	4	3	1	9	8	7	6	2
3	2	6	5	4	1	9	7	8
9	8	5	7	6	3	4	2	1
7	1	4	2	8	9	6	3	5
4	7	1	9	3	2	8	5	6
8	5	2	4	1	6	3	9	7
6	3	9	8	7	5	2	1	4

რთული

8	1	6	3	2	9	7	5	4
5	4	9	8	7	6	3	2	1
3	2	7	1	5	4	6	9	8
7	6	4	5	3	1	2	8	9
1	9	8	7	6	2	5	4	3
2	5	3	9	4	8	1	7	6
9	8	5	2	1	3	4	6	7
6	3	2	4	8	7	9	1	5
4	7	1	6	9	5	8	3	2

ექსპერტი

3	8	2	7	1	5	6	9	4
6	9	5	8	4	3	2	1	7
7	4	1	9	6	2	8	3	5
8	7	6	5	3	4	1	2	9
5	3	4	1	2	9	7	8	6
2	1	9	6	8	7	5	4	3
4	2	7	3	5	8	9	6	1
9	6	8	4	7	1	3	5	2
1	5	3	2	9	6	4	7	8

ადვილი

5	7	6	2	4	1	3	9	8
4	3	2	9	8	7	6	5	1
1	9	8	6	5	3	4	2	7
6	5	9	4	7	2	1	8	3
8	1	4	3	9	6	2	7	5
3	2	7	8	1	5	9	6	4
2	8	5	1	6	4	7	3	9
7	6	1	5	3	9	8	4	2
9	4	3	7	2	8	5	1	6

სტანდარტი

6	2	1	3	7	9	4	5	8
4	9	8	2	6	5	3	1	7
3	7	5	4	1	8	9	6	2
7	6	2	1	9	4	8	3	5
8	5	4	7	3	6	2	9	1
1	3	9	8	5	2	7	4	6
2	4	6	5	8	3	1	7	9
9	8	7	6	4	1	5	2	3
5	1	3	9	2	7	6	8	4

რთული

2	8	6	3	4	5	1	9	7
5	4	7	1	2	9	8	6	3
3	1	9	6	8	7	5	4	2
1	3	4	9	7	2	6	8	5
9	2	8	5	3	6	7	1	4
7	6	5	4	1	8	3	2	9
4	7	3	2	6	1	9	5	8
8	9	1	7	5	4	2	3	6
6	5	2	8	9	3	4	7	1

ექსპერტი

2	4	7	3	6	1	9	5	8
1	9	3	5	7	8	6	4	2
8	6	5	4	2	9	1	7	3
6	8	2	7	1	5	4	3	9
7	5	4	2	9	3	8	6	1
9	3	1	8	4	6	7	2	5
5	1	9	6	3	4	2	8	7
4	2	8	1	5	7	3	9	6
3	7	6	9	8	2	5	1	4

მე-10 გვერდი: 1. შამპუნი; 2. პორტერი; 3. შუშანიკი; 4. მეანდრი; 5. უზანგი; 6. იდიომი; 7. პენჩინგბოლი; 8. რეალია; 9. ესქილე; 10. ილიამნა; 11. აშხაბადი; 12. ათერომა; 13. აურუმ; 14. მაგადანი; 15. ინფარქტი; 16. ლუისი; 17. ვრუბელი; 18. მელვილი; 19. ასტრა; 20. იურთი; 21. ნუარე; 22. ნირი; 23. კლიო; 24. რიეკა; 25. ლამპასი; 26. ფორანი; 27. „რედინგი“; 28. ატაქსია; 29. ბასბი; 30. ულანოვა; 31. რაპირა; 32. დოლი; 33. კა; 34. სირ; 35. სამბო; 36. „სელტა“; 37. „როიტერი“; 38. ფიფა; 39. ბამაკო; 40. მანასი; 41. პოლ; 42. ლირი; 43. ალაო; 44. რემა; 45. ასა; 46. არენა; 47. რენტა; 48. დიქტი; 49. მარკესი; 50. ნაი; 51. „პუმა“; 52. ალისია; 53. უნო; 54. ნეი; 55. კიი; 56. სან; 57. პა; 58. ტორტილა; 59. ბანდარ; 60. იდო; 61. იკებანა; 62. შოუ; 63. ბუა.

მე-12 გვერდი: 1. ბარტყი; 2. პანტა; 3. პითია; 4. აქტივი; 5. თქორი; 6. ზიჩი; 7. სტარტი; 8. აგესანდრე; 9. ტრიპოლიტანია; 10. არმაზი; 11. მარაკეში; 12. ზიგოტა; 13. ოლივიე; 14. იაკი; 15. „ბოტასი“; 16. აგარა; 17. არეტა; 18. ელინი; 19. ფისი; 20. კაფია; 21. ლისიპე; 22. იოანე; 23. დიკლო; 24. ლავუაზიე; 25. ტოლი; 26. ლირიკა; 27. ვაგონი; 28. დალაი-ლამა; 29. აია; 30. ვანილი; 31. დოინა; 32. ლავა; 33. ოში; 34. ვალეტი; 35. ბათუ; 36. ტრამონტანა; 37. ეტრატი; 38. ოტიატრი; 39. ბოი; 40. ინტალიო; 41. გორილა; 42. სენა; 43. ენოტი; 44. არზა; 45. იტი; 46. ტიერი; 47. ალთაი; 48. გერბი; 49. გნუ; 50. იერო; 51. კაიენა; 52. ემალი; 53. ადონაი; 54. ბერგამო; 55. კოფრი; 56. ამირა; 57. ერნესტ; 58. „ფატიმა“; 59. აკვა; 60. „ორერა“; 61. „მანანა“; 62. გიდი; 63. რვალი; 64. აბრა; 65. რერიხი; 66. სკრა; 67. კალო; 68. მიდია; 69. ამინ; 70. სტოა; 71. ეშვი; 72. გუი; 73. ოდა; 74. ელოდეა; 75. ჩია; 76. ვენეცია; 77. ლოუ; 78. არაქისი; 79. ორშიმო; 80. ცეცე; 81. ცვილი; 82. მენორა; 83. ეა; 84. არაბია.



1. ტარიანი დაწნული თასმა
2. მეორე მუსიკალ. ინტერვალი
3. მოგონებათა ლიტ. გადმოცემა
4. ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ძმა
5. მოხარშული ცომის წვრილი ნაჭრები
6. ჩინეთის ფულის ერთეული
7. ვაზირი „სიბრძნე სიცრუისა“-ში
8. ბურატინოს მამილო
9. იაპონური მინიატურული სკულპტურა
10. მექსიკური მცენარე
11. მდინარე შუა აზიაში
12. უძველესი ქვეყანა ჩრდილოეთ აფრიკაში
13. ტბა თბილისთან
14. თავის ქალის გაკვეთის ოპერაცია
15. გაღმერთება, თაყვანისცემა
16. მდინარე აშშ-ის დედაქალაქში
17. მსხვილად ნაგრეხი კანაფი
18. პარაგვაის ჩაი
19. ბაღის დეკორატიული ყვავილი
20. წესიერი პირამ. გვერდითი წახნ. სიმაღლე
21. პოლანდიური გვარების წინსართი
22. ლატვიის ეროვნული ვალუტა
23. ისრაელის მეფე სოლომონის დედა
24. რეზინის ვულკანიზებით მიღ. მასალა
25. ილიკო ჩიგოგიძის მეგობრის სახელი
26. საზოგადოებაში ქცევის წესები
27. ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი
28. ბურთისებური სხეული
29. ბგერის ანარეკლი
30. ჭერის ანტიპოდი
31. მკვრივი ქსოვილი
32. დიდი იტალიელი კინორეჟისორი
33. მარადიული ქალაქი
34. კანზე წასასმელი წამალი
35. ხელოვ. სანიმუშო ნაწარ ერთობლიობა
36. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
37. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
38. სამხ. აზიაში მცხოვრები ხალხი
39. ბევრი და უაზრო ლაპარაკი
40. შეჯიბ. ავტომობილებით რბოლაში
41. ბავშვის მოსანათ. საეკლესიო ჭურჭელი
42. ამერიკელი დიზაინერი მაიკლ ...
43. ასტრონომიის მფარველი მუზა
44. ავადმყოფობის განვით. უმაღ. წერტილი
45. მდინარე აღმოსავლეთ საქართველო.
46. ოგივეა, რაც წლოვანება
47. იაპონელი სამხედროს ქუდი
48. ედგარ ბეროუზის ლიტერატ. გმირი
49. თუთიყუშის ჯიში
50. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
51. სურათი ზღვის ხედით
52. მწერალი ...ჭილაძე
53. მოგრძო გორა
54. რბილი, თეთრი კირქვა
55. დახრილი სასტამბო შრიფტი
56. სინათლე ბავშვის ენაზე
57. ჰოლივ. მსახიობი ... ნოლტი
58. მოჭიდაველთა სპორტული კოსტიუმი
59. ჩეხეთის ეროვნული გმირი ... ჰუსი
60. შესანახად გახმობილი ხორცი
61. დიდი მღრღნელი
62. კომედიის მუზა
63. იტალიის საფეხბურთო კლუბი
64. მდინარე პოს შენაკადი
65. ხრიკი, ფანდი

ქალებს ლუდის დალევას ურჩევენ

ასაკოვან მანდილოსნებს ძვლების დაცვა ოსტეოპოროზისგან ლუდის მეშვეობით შეუძლიათ, — განაცხადეს კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა. დღის განმავლობაში ნახევარი ლიტრი ქარვისფერი სასმელი ორგანიზმს მოტეხილობისგან იცავს. მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ლუდი დიეტური სილიკონის იდეალური წყაროა, რომელიც აუცილებელია ძვლის მასის ჩამოყალიბებისთვის. ასაკთან ერთად ეს მასა ილევა და დეფორმირდება, რაც ოსტეოპოროზს იწვევს, სილიკონი კი ორგანიზმს მის აღდგენაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინგრედიენტს ზოგიერთი მცენარეც შეიცავს, მაინც ყველაზე მდიდარ წყაროდ ლუდი შეიძლება დასახელდეს. სასმელი იდეალურია ორგანიზმის მიერ სილიკონის აბსორბციიდან გამომდინარე. მკვლევარები ექსპერიმენტისას ძვლების ფორმირების პროცესზე ლუდის ზეგავლენას აკვირდებოდნენ და აღმოაჩინეს, რომ ეტანოლი, რომელსაც ასევე შეიცავს ალკოჰოლი, ძვლის მასის გალევას ეწინააღმდეგება. სილიკონი კი, თავის მხრივ, ძვლის ახალი მასის ფორმირებას უწყობს ხელს. ესტროგენთან კომბინაციაში სილიკონი დადებით ეფექტს გვაძლევს, — აღნიშნავენ სწავლულები, ამიტომ ასაკოვან მანდილოსნებს ნამდვილად არ აწყენთ დღეში ნახევარ ლიტრამდე ლუდის მიღება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ცუდი განწყობა აზროვნებას უწყობს ხელს

ნეგატიური ემოციები ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი მეცნიერები ახალი უელსის უნივერსიტეტიდან. სწავლულები ექსპერიმენტში მონაწილეებს კარგ ან ცუდ განწყობას შესაბამისი ფილმების ჩვენებით უქმნიდნენ, ასევე ცხოვრებიდან სასიამოვნო და ნეგატიური მოვლენების გახსენებას სთხოვდნენ და ზოგიერთი „ურბანისტული ლეგენდისა“ თუ ჭორის შეფასებაც ევალებოდათ. გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ მოხალისეებს, ვინც ცუდ ხასიათზე იყვნენ, ნაკლებად სჯეროდათ მიღებული ინფორმაციისა. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ნეგატიური განწყობა ხელს უწყობდა სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებას, რასაც რასობრივი ან რელიგიური საფუძველი ჰქონდა. მეცნიერები ასკვნიან, რომ არც ისე კარგ ხასიათზე ყოფნისას ადამიანი უფრო ყურადღებით აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ასევე უზრუნველყოფს პრაქტიკული, კომპრომისული და წარმატებული ურთიერთობების სტილს.

ძაღლი ბავშვებს ალერგიისგან იცავს

ბავშვები, რომელთაც დაბადებიდან შინაურ ცხოველებთან აქვთ კონტაქტი, იშვიათად ავადდებიან პოლინოზით, — მიაჩნიათ გერმანელ სპეციალისტებს, რომელთაც ამ მხრივ 3 ათასზე მეტი ბავშვი გამოიკვლიეს. სწავლულები პატარებს დაბადებიდან აკვირდებოდნენ 6 წლის განმავლობაში. ბავშვების მშობლები რეგულარულად ავსებდნენ ანკეტას, სადაც მითითებული იყო ალერგიული სიმპტომების სიმძიმე და სიხშირე, ასევე შინაური ცხოველების არსებობა, გარდა ამისა, მონაწილეთა სახლიდან აღებულ მტვერში პოტენციური ალერგენების დონე იზომებოდა. გერმანელ მკვლევართა მონაცემებით, ბავშვებში მცენარეულ მტვერზე, სახლის ტკიპებზე, ობსა და სხვა სახის კომპონენტებზე ალერგიის განვითარების რისკის 50%-იანი კლება სახლში ძაღლის არსებობას უკავშირდებოდა. სავარაუდოდ, ეს გამოვლენილი კანონზომიერება მრავალფეროვან ალერგენებთან ბავშვის იმუნური სისტემის ადრეული კონტაქტით აიხსნება.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	4				2			
5			8				3	
9				4		6		
4				9			1	8
			6		5			
8	7			2				6
		4		6				3
	5				4			7
			1				8	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	3		1					9
2							6	
			7	9			1	
6					5			
		2		3		5		
			4					1
	7			8	3			
	5							8
1					7		9	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5		3			1	8	
2							3	9
	9		4			5		
		7	5					
1								4
					6	3		
		5			1		9	
8	6							1
	1	9			8		2	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		7	5					4
		6	7	4		5		
				2		1	9	
5		3			2	7		
		9	1			3		8
	1	8		6				
		5		3	1	2		
3					7	4		

სრულყოფილებაა ინვალიდობაშია?



შვეიცარიის ერთ-ერთი მცხოვრებს, სახელად სებასტიანს სურს, ცალი ფეხი მოიჭრას, რადგან მიაჩნია, რომ ერთი ფეხით მისი სხეული უფრო სრულყოფილი იქნება. ამის შესახებ გაზეთი Neue Zürcher Zeitung წერს, რომელიც სტატიას ჯერჯერობით თითქმის უცნობ ფენომენს — Body Integrity Identity Disorder (BIID) — უძღვნის. ასეთი სინდრომით შეპყრობილი ადამიანები საკუთარი სხეულის გარკვეულ ნაწილებს უსარგებლოდ მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ არსებობაში უშლის ხელს, ამიტომ ამ „უსარგებლო“ ნაწილის ამპუტირების სურვილი უჩნდებათ, რათა „სწორი გარეგნობა“ მიიღონ. სებასტიანს ფეხზე არაფერი სჭირს, თუმცა იგი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ნიშნავს ადგილს, სადაც კიდური უნდა მოიჭრას. ეს ახალგაზრდა პროფესიით ინჟინერია, აქვს კარგი სამუშაო, ჰყავს ბევრი მეგობარი, უყვარს თეატრი და თამაშობს ფრენბურთს, მაგრამ ბავშვობიდან აკვიატებული აქვს, რომ მარცხენა ფეხის გარეშე უფრო სრულყოფილი იქნება. ამ დაავადების განსაკურნად ჯერ არც მედიკამენტია შექმნილი და ფსიქიატრებიც პაციენტებს მხოლოდ ამ სურვილით ცხოვრებაში ეხმარებიან.

ომეგა-3 ბავშვის ინტელექტს არ აუმჯობესებს

მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები ფეხმძიმეებს ურჩევენ, მიიღონ ომეგა-3 ცხიმმჟავები ნაყოფის ტვინის განვითარებისთვის, ბოლო გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ასეთი დანამატები სულაც არ აუმჯობესებს ბავშვების კოგნიტურ, ლოგიკურ უნარებს. შედეგები ერთ-ერთი გამოცემის სპეციალურ გამოშვებაში გამოქვეყნდა, რომელიც პატარების ჯანმრთელობას მიეძღვნა — ავსტრალიელი სწავლულების ხანგრძლივ კვლევაში ფეხმძიმეები ყოველდღიურად 800 მგ პლაცებოს ან ომეგა-3-ს იღებდნენ. პირველადი კვლევებისას აღმოჩნდა, რომ 18 თვემდე ბავშვების კოგნიტური, ენობრივი და მოტორიკის უნარები საერთოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან; შემდეგი კვლევისთვის ოთხი წლის პატარები აირჩიეს, როცა განვითარების ნაკლებადშესამჩნევი დეფექტებიც ვლინდება — აღმოჩნდა, რომ კოგნიტური უნარების, ინფორმაციის რთული ფსიქოლოგიური დამუშავების უნარის, ენობრივი, მეხსიერების, ლოგიკის უნარების შემოწმებისას არსებითი განსხვავება არ გამოვლინდა პლაცებოსა და ომეგა-3-ის მიმღებ ჯგუფებს შორის, ამგვარად კი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ომეგა-3-ის დანამატების მიღება არ მოქმედებს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე.

„ᲧᲝᲧᲮᲐᲚᲘ“ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲘ ᲡᲐᲐᲑᲐᲖᲐᲜᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ერთმა შვეიცარიელმა დიზაინერმა აბაზანისთვის უჩვეულო საფენი დაამზადა და სიახლის შესაქმნელად ნამდვილი ხავსი გამოიყენა. მიუხედავად იდეის უცნაურობისა, ხავსის ხალიჩას, რომელიც ტყეში სიარულის შეგრძნებას იწვევს, უამრავი უპირატესობა აქვს სინთეტიკურ ანალოგებთან შედარებით. დიზაინერის გამოგონება დაახლოებით 70-მდე ხავსის ბუჩქია, თითოეულის დიამეტრი კი 6 სანტიმეტრამდეა. როგორც ავტორი აცხადებს, ასეთ საფენს გარკვეული უპირატესობა აქვს — ჯერ ერთი, სტრუქტურა საშუალებას იძლევა, ტენი ბუნებრივი გზით შეიწოვოს და შენობაში უსიამოვნო სუნი არ დატოვოს; მეორეც, ხავსზე შიშველი ფეხის შეხება ძალიან სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს, თანაც ბუჩქები ისეა გაკრეჭილი, განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება. დიზაინერი იმედოვნებს, რომ მისი გამოგონება ინდუსტრიული რაიონების მაცხოვრებლებს მოეწონებათ.

წყლის საწვავად „გადაქცევა“ არ აცადეს

ინდონეზიელ ჯოკო სუპრაპტოს 3,5 წლით ციხეში უკრეს თავი მხოლოდ იმის გამო, რომ წყლის საწვავად გადაქცევის პირობა დადო. მამაკაცს სასამართლომ თაღლითობაში დასდო ბრალი. როგორც ამბობენ, სუპრაპტომ ქვეყნის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პრეზიდენტი დაარწმუნა, ფიქტიური გამოკვლევები დაეფინანსებინა. ფსევდომეცნიერი აცხადებდა, რომ შეძლო წყლისგან წყალბადის გამოყოფა და მისი დიზელის საწვავად ქცევა. იგი პირობას დებდა, რომ შექმნიდა აპარატს, რომელიც ჩვეულებრივ წყალს ე.წ. ცისფერ ენერგიად გადააქცევდა. ინდონეზიელის გამოკვლევის რეალობა ქვეყნის პრეზიდენტმაც ირწმუნა, თუმცა, როცა მიღებული ნივთიერება შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ეს ჩვეულებრივი დიზელის საწვავი იყო, რომელსაც სახელმწიფო კომპანია აწარმოებდა. ცრუმეცნიერს, თავისუფლების აღკვეთის გარდა, უნივერსიტეტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც დააკისრეს.

ᲙᲐᲢᲙᲐᲛ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ

რომაელმა კატამ, სახელად ტომაზინომ, ცოტა ხნის წინ 10 მილიონი ევროს მემკვიდრეობა მიიღო. ერთ დროს უპატრონო ფისო მოხუცი იტალიელ ქალბატონთან, 1917 წელს დაბადებულ მარია ასუნტასთან მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალს ნათესავები ჰყავს, მან 2009 წელს დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვითაც, მთელი ქონება, მათ შორის, ბინები მილანსა და რომში, საბანკო ანგარიშები და მიწის ნაკვეთები კალაბრიაში ერთგულ ტომაზინოსა და სხვა უპატრონო ცხოველებს არგუნა. ორიოდე წლის წინ მარია ასუნტა გარდაიცვალა, მისი მემკვიდრეობის საერთო რაოდენობამ კი, დაახლოებით, 10 მილიონი ევრო შეადგინა. ქონებას, რომელიც ტომაზინოს ერგო, 48 წლის სტეფანია, — მედდა განკარგავს, რომელიც ბოლო წლებში მოხუცის მომვლელად მუშაობდა. იტალიელ კატამდე, ყველაზე მდიდარი ბლეკი იყო, რომელმაც 1988 წელს 9 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო ინგლისელი პატრონისგან.

1. პოპულარული მელოდია, შლაგერი
2. რასელ ქროუს კინოროლი „გლადიატორში“
3. რომან „ნათლიას“ ავტორი
4. უფერული სითხე ადამიანის ორგანიზმში
5. გრაფი დელა ფერის მუშკეტერული სახელი
6. ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო
7. მეტრის მეასედი ნაწილი
8. საფრანგეთის დედაქალაქი
9. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
10. მდინარე რიონის ანტიკური სახელწოდება
11. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
12. მოშვებული, დაუჭიმავი
13. „მწუხარება სხვისა სიკეთისა ზედა“ (საბა)
14. სამეგრელოს სამთავროს მეორე სახელწოდება
15. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
16. მდინარე ციმბირში
17. გერასიმეს ძაღლი ტურგენევის მოთხრობაში
18. ბიბლიური მოსეს ძმა
19. აზრის იგავურად გამოხატვა ხელოვნებაში
20. ფუჭი, უშედეგო
21. ვაჭრების მეთაური „ვეფხისტყაოსანში“
22. მზის სისტემის პლანეტა
23. ძროხის ნაშიერი
24. საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა
25. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი
26. გაუნათლებელი, გულუბრყვილო გლეხი
27. ეკლებიანი ცხოველი
28. ნაოსნობის სახელმძღვანელო
29. ფრანგული წარმოშობის ძველებური საბალო ცეკვა
30. წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი
31. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
32. მაყვალას მიჯნური ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“
33. ჩინურ-იაპონური შაში
34. საპირისპირო შეხედულებათა შეჯახება
35. მთის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში
36. ბიბლიური პატრიარქი
37. სამოას დედაქალაქი
38. მდინარე მონღოლეთში
39. „ზოლებიანი“ ცხოველი
40. წვეტიანი ყინული სახურავზე
41. საუდის არაბეთის დედაქალაქი ...-რიადი
42. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე
43. აშშ-ის ყოფილი ციხე, სადაც ალკაპონე იჯდა
44. სოფელი თელავის რაიონში
45. დიდი იტალიელი ფერმწერი
46. ხარვეზი, ნაკლული ადგილი რაიმე ტექსტში
47. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი
48. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე
49. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
50. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
51. ინდიელთა ტომი
52. ინდური კობრა
53. სახლს მიშენებული ღია ნაწილი
54. პლანეტა მერკურის ძველქართული სახელი
55. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი
56. მდინარე იტალიაში, პოს შენაკადი
57. პერანგი ფართო, გადახსნილი საყელოთი
58. მტევნის მკლავთან შემაერთებელი სახსარი
59. მსახიობი მია ...
60. კოსმოსური ხომალდი
61. ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ბერძნ. მითოლ.
62. ნაპოლეონის კარის მხატვარი
63. შესვენება სპექტაკლის მოქმედებებს შორის
64. გადამწყვეტი იერიში
65. გამოუწვავი აგური
66. ფოსო თვალის ქვეშ
67. რეგვენი, უმეცარი, ხეპრე
68. რბილი სასის ბოლო, წაგრძელებული ნაწილი
69. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
70. ჩანთა ნანადირევისათვის
71. ხარის სახელი ქართულ ხალხურ ზღაპარში
72. ციმბირის დამპყრობი კაზაკი
73. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
74. მტაცებელი ცხოველი ყავისფერი ძვირფასი ბეწვით
75. დიდი შვეიცარიელი მათემატიკოსი
76. მილა იოვოვიჩის კინოროლი
77. ფოიერვერკის მოსაწყობი ქაღალდის ჭურვი
78. ცისკარას სატრფოს სახელი
79. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი
80. ინგლისური ტრადიციული სქელი ლუდი
81. ინდონეზიის კუნძული
82. გალაკტიონის მუზა
83. ოქროს ურდოს სარდალი
84. ნიკოლოზ გოგოლის მოთხრობა
86. ქმრის ძმა

მეორე ნახევარს საპატრული სამსახურით ეძებდა

ცხოვრების მეგზური „ტრადიციული“ მეთოდით რომ ვერ იპოვა, პოტენციური საქმროს პოვნას 44 წლის ანგელა სტალი პოლიციელების მეშვეობით ჯიუტად ცდილობდა. განქორწინებული ქალი სასწრაფო გამოძახების ხაზს საათობით აკავებდა და ოპერატორებთან ჩიოდა, რომ დიდი ხანია, ვერ პოულობს გულის სწორს, ხოლო გაცნობის სააგენტოს რომ მიმართოს, საშუალება არ აქვს. ქალი ამტკიცებდა, რომ სურს, საქმრო პოლიციელი იყოს და მოსაუბრეს არწმუნებდა, მისთვის პაემანი დაენიშნა. ამ დაუცხრომელი ფრაუს ზარისგან დაღლილმა პოლიციელებმა ბერლინში, საკუთარ ბინაში მიაკითხეს და მობილური ტელეფონის აკუმულატორი ჩამოართვეს. მაშინ აღმოაჩინეს, რომ სატელეფონო „ტერორისტი“ 911-ზე კარგად შეზარხოშებული რეკავდა. მოგვიანებით, სასოწარკვეთილ დიასახლისს ელემენტი დაუბრუნეს და პირობა ჩამოართვეს, რომ სამართალდამცავებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.